პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 8 (12216) | ოთხშაბათი, 10 იანვარი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

პარტიულ-ორგანიზაციული მთავარი პარტიულ მუშაობაში

პარტიულ-ორგანიზაციული და იდეური საქმიანობის შემდგომი აღმავლობის კონკრეტულ პროგრამაში, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ განსაზღვრა, დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აქტივის როლის ამაღლებას, პარტიულ მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისების განვითარებას, მისი ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას.

სკკპ პროგრამაში ნათქვამია: „როგორც კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ხალხის მოწინავე რაზმი, პარტია წინ უნდა მიდიოდეს თავისი შინაპარტიული ცხოვრების ორგანიზაციაშიც, გვიჩვენებდეს კომუნისტური საზოგადოებრივი თვითმმართველობის ყველაზე სრულყოფილი ფორმების შემუშავების მაგალითსა და ნიმუშს“.

საზოგადოებრივი საწყისები მუშაობაში — ეს კომუნიზმის ცოცხალი ყლორტებია. ისინი წარმოადგენენ ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე შესანიშნავ მოვლენას და მათ განსაკუთრებული ფართო აღიარება ჰპოვეს პარტიის XXI ყრილობის შემდგომ პერიოდში. საზოგადოებრივი საწყისები სულ უფრო მეტად მკვიდრდება ჩვენს ინამდვილეში, თამამად იჭრება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, გვიჩვენებს პარტიის მიერ აღზრდილი საბჭოთა ადამიანის დიდ და წარმტაც სულიერ სამყაროს.

განსაკუთრებით ფართოდ ინერგება საზოგადოებრივი საწყისები პარტიული კომიტეტების მუშაობაში. ამყამად ჩვენი რესპუბლიკის რაიონულ, საქალაქო და საოლქო კომიტეტებთან შექმნილია შტატგარეშე ინსტრუქტორთა ჯგუფები, რომლებიც 1.300-ზე მეტ კაცს ითვლიან. ისინი დიდ ძალას წარმოადგენენ და ორჯერ სჯობობენ შტატის ინსტრუქტორთა რიცხვს.

რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების ყოველდღიურ მოღვაწეობაში სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას იღებენ პარტიული კომიტეტების წევრები. ისინი გაერთიანებულნი არიან სხვადასხვა მუდმივ კომისიებში, რომლებიც დიდ, ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან.

მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებაში დიდი როლი ეკუთვნით შტატგარეშე განყოფილებებს.

პარტიის XXII ყრილობისათვის მზადებისა და ყრილობის შემდგომ პერიოდში მთელ რიგ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან შეიქმნა სხვადასხვა პროფილის 60-ზე მეტი შტატგარეშე დარგობრივი განყოფილება. ბევრ პარტიულ კომიტეტთან შექმნილია ტექნიკურ-ეკონომიური საბჭოები, წარმოების ნოვატორთა საბჭოები და სხვ., აგრეთვე მთელი რიგი შტატგარეშე პარტიული კომისიები. ისინი აერთიანებენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, წარმოადგენენ პარტიულ აპარატის კადრების შესანიშნავ რეზერვს, მჭიდროდ დაკავშირებული არიან წარმოებასთან, პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებასთან, ყოველმხრივ სწავლობენ და ანალიზს უკეთებენ საწარმოებში, საზოგადოებრივ მეურნეობებში პარტიულ მუშაობასა და სამეურნეო მოღვაწეობას, პრაქტიკულ დახმარებას უწევენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს.

დიდ ძალას წარმოადგენენ პარტიული კონტროლის კომისიები, რომელთა რიცხვი რესპუბლიკაში 3.000-ს აღემატება. ისინი პარტიული ორგანიზაციების საიმედო თანაშემწენი არიან შრომელთა დარაზმაში პარტიის წინასწარდასახულობათა განსახორციელებლად.

ფართო განვითარება ჰპოვეს საზოგადოებრივმა საწყისებმა იდეოლოგიურ მუშაობაში. პარტიულ კომიტეტებთან მუშაობს 5.850 შტატგარეშე ლექტორი და პოლიტიკური მომხსენებელი, მხსნელ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შექმნილია პოლიტიკური განათლების 218 შტატგარეშე კაბინეტი და მეთოდური კაბინეტები.

ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მოწყობილია კულტურის სახალხო უნივერსიტეტები, თითქმის ყოველი რაიგაზეთის რედაქციასთან შექმნილია შტატგარეშე განყოფილებები. საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ ადგილობრივი რადიოგადაცემები.

პარტიულ მუშაობაში მშრომელთა მიზიდვასა და საზოგადოებრივი საწყისების განვითარებაში კარგი გამოცდილება შეიძინეს აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, მახარაძის, გურჯაანის, საჩხერის, ჩოხატაურისა და სხვა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანოების აპარატის ცხოვრებასა და საქმიანობაში საზოგადოებრივი საწყისების სწრაფი განვითარება იმ დიდი მუშაობის შედეგია, რომელიც უკანასკნელ წლებში იქნა გაწეული პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისა და პიროვნების კულტის შედეგების დაძლევისათვის პარტიული და სახელმწიფოებრივი მშენებლობის ყველა დარგში.

პარტიის ხაზმა აპარატის შესამცირებლად, შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომ გასაჩაღებლად დააჩქარა აქტივის ზრდის პროცესი, ხელი შეუწყო შინაპარტიული მუშაობის გაშლას, მნიშვნელოვნად შეავსო ამ მუშაობის ფორმებისა და მეთოდების არსენალი, ფართო ასპარეზი გადაშალა საზოგადოებრივი საწყისების განვითარებისათვის.

თუ ყოველივე ნათქვამს დავუმატებთ იმას, რომ საზოგადოებრივმა საწყისებმა ფართო განვითარება ჰპოვა რესპუბლიკის საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში, მაშინ ნათელი გახდება თუ რა ძალას წარმოადგენს საზოგადოებრიობა, რის გაკეთება შეუძლიათ საზოგადოებრივი თვითმმართველობის ფორმების სრულყოფისათვის დეპუტატებს, პენსიონერებს, დემობილიზებულთ და ასობით სხვა ენთუზიასტს.

მაგრამ ამასთან ერთად ყველა პარტიული ორგანიზაცია როდი აქცევს სათანადო ყურადღებას პარტიულ მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისების განვითარებას. ზოგიერთი პარტიული კომიტეტი (ახმეტა, ვანი, დუშეთი და სხვ.) დასჯერდა შტატგარეშე ინსტრუქტორთა მცირე რაოდენობის დამტკიცებას. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა პარტიის ზოგიერთი რაიკომი და პირველადი პარტორგანიზაცია გატაცებულია კომისიების დიდი რიცხვით და დაინტერესებული არ არის მათი მუშაობის შინაარსით, სუსტად ხელმძღვანელობს მათ. ამის შედეგად ბევრი კომისიის მოღვაწეობაში სერიოზული ნაკლოვანებანია. ისინი კონკრეტულ, ოპერატიულ მუშაობას ცვლიან სხდომებით, თათბირებით, ექცევიან ფორმალიზმას ტვეთაში.

საზოგადოებრივი საწყისების განვითარებაში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ პრესას, რადიოსა და ტელევიზიას. მაგრამ ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ისინი ჯერ კიდევ სუსტად სწავლობენ და მკრთალად აშუქებენ პარტიულ მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისების განვითარების საკითხებს.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი პარტიულ მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისების განვითარების შესახებ და მიიღო სათანადო დადგენილება, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ვალია ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი და განვითარონ საზოგადოებრივი საწყისები პარტიულ მუშაობაში, მუდმივად სრულყონ პარტიული მუშაობის ფორმები და მეთოდები.

პარტიულ მუშაობაში საზოგადოებრივ საწყისებს დიდი მომავალი აქვს. „პარტიულ ორგანოებში, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა საანგარიშო მოხსენებაში სკკპ XXII ყრილობაზე, — სულ უფრო მეტად უნდა გამრავლდეს საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე კომისიები, განყოფილებანი, რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების ინსტრუქტორები, მდივნები. მასებთან კავშირის განმტკიცება, ლენინური გულღიაობა, მისწრაფება, რომ ტრიალებდე ადამიანთა წრეში, ცხოვრობდე მათი ცხოვრებით და მათი საზრუნავით, პარტიული მგზნებარება ახლისათვის ბრძოლაში—აი რა უნდა განსაზღვრავდეს პარტიული ხელმძღვანელის სახეს“.

უპატაკეგენ სამშობლოს

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ გადამბარგებით შეასრულა წლიური გეგმა

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, ფართოდ გამალეს რა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავად, ვადამდე, 101,9 პროცენტით შეასრულეს მთლიანი პროდუქციისა და უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების შვიდწლედის მესამე წლის სახელმწიფო გეგმა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ათობით მილიონი მანეთის პროდუქცია. ზრდამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგინა 4,6 პროცენტი.

რესპუბლიკის მრეწველობამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ფოლადის მილები, მანგანუმი, ელექტროენერგია, ქვანახშირი, სახარატო ჩარხები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ცემენტი, ქაღალდი, ჩაი, ღვინო, შამპანური, კონსერვები, მინერალური წყლები და სხვა პროდუქცია. შრომის ნაყოფიერების დონეს ამაღლებამ 100,5 პროცენტით შესრულდა. თერთმეტ თვეში მიღებული 3.926 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

საქართველოს მრეწველობამ აითვისა ასზე მეტი ახალი სახეობის პროდუქცია, მათ შორის — მთლიანზიდული მილები, არგონი, „ტ-8“ ელმავლები, ახალი ტიპის ელექტროშესადუღებელი გარდამქმნელები, ლოკომოტივის სიჩქარემზომები, მაგნიტური ასამუშავებლები, ავტოსაწევრები „კაზ-606“, სატვირთო ავტომობილი „კოლხიდა“, ყურძნის გადასამუშავებელი ნაკადური ხაზი, რომლის მწარმოებლურობაა 20-30 ტონა საათში, სასეირნო კატერები, მინერალური ბამბა და სხვ.

ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება, რომ ვადამდე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის შესრულდეს შვიდწლედის მეოთხე წლის პირველი კვარტალის საწარმოო გეგმა. (საქდესი).

ჯილდო ღირსეულთ

საჩხერე. (საკ. კორ.). ამ დღეებში რაიონულმა ჟიურიმ შეაჯამა კოლმეურნეებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. 1961 წელს საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში წარმატებისათვის ჟიურიმ გამარჯვებულად ცნო სოფელ ორღულის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ი. ჭიღლაძე). ამ კოლმეურნეობას მიეკუთვნა საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა. მევენახეობა-მეღვინეობაში მოპოვებული წარმატებებისათვის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მეორე გარდამავალი დროშაც ორღულელებს მიეკუთვნათ.

სიმინდის მაღალი მოსავლისათვის ლაშქრობაში გამარჯვებული გამოვიდა სოფელ სხვატორის აკ. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე პ. მაჭარაშვილი), რომელსაც მიეკუთვნა პარტიის რაიკომისა და რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა. მეცხოველეობის განვითარებისა და პროდუქტიულობის ზრდისათვის გარდამავალი წოფელი დროშა მიეკუთვნა სოფელ შომახეთის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე შ. მაჭარაშვილი).

გამარჯვებულ კოლმეურნეობებს საზეიმოდ გადაეცათ გარდამავალი დროშები. რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დიპლომები, მოწმობები და სგელები გადაეცათ აგრეთვე სოფლის მეურნეობის წარჩინებულ მუშაკებს.

საუგრეგი ხვალინდელ დღეზე

ამბროლაური. (საკ. კორ.). ჭელიაღელის სასოფლო კლუბში თავი მოუყრიათ კოლმეურნეებს, ახალგაზრდა მეცხოველეებს, პედაგოგებს, აგრონომებს, სოფლის ინტელიგენციის მრავალ წარმომადგენელს. აქ გაიმართა სკკპ XXII ყრილობის მასალებისადმი მიძღვნილი კითხვა-პასუხის საღამო, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

შეკითხვებზე პასუხი გასცეს პედაგოგებმა ჟ. ტურძილაძემ, გ. ბიბილაშვილმა, ა. კობახიძემ, ჟ. ნადირაშვილმა და სხვ.

ცხინვალი. (საკ. კორ.). სოფელ კეხვის კოლმეურნეობაში გაიმართა კითხვა-პასუხის საღამო, რომელსაც მრავალი კოლმეურნე დაესწრო. საღამო მიეძღვნა პარტიის XXII ყრილობის მასალებს, ძირითადად საბჭოთა ადამიანის კომუნისტური აღზრდის საკითხებს. კითხვებზე პასუხის გასაცემად რაიონიდან მოვიდნენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები.

კოლმეურნეებმა შეკითხვები მისცეს რაიონის მილიციის უფროსს, პროკურატურისა და სასამართლოს, განათლებისა და საფინანსო განყოფილების მუშაკებს. საღამოზე ისაუბრეს ახალგაზრდობის აღზრდის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, საკოლმეურნეო წესდების, სოფლის კულტურული ცხოვრებისა და კეთილმოწყობის საკითხებზე.

ახალი ამგები

ტყიბული. (საკ. კორ.). იანვრის პირველ რიცხვებში აქ შეაჯამეს მეშახტეთა გასული წლის მუშაობის შედეგები. გამოირკვა, რომ შარშან ტყიბულელებმა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას გეგმის გადამეტებით მისცეს 21.600 ტონაზე მეტი ქვანახშირი, მნიშვნელოვნად გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, ტონა ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების შედეგად გაწეულია 100 ათასი მანეთი ეკონომია.

შარშან განსაკუთრებით კარგად იმუშავა სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა, რომელსაც სათავეში უდგას უნარიანი სამთოელი, კომუნისტი გ. რაზმაძე. ამ შახტმა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება 220 პროცენტით შეასრულა.

ტყიბულელებთან

ახალ წელს ყველაზე უკეთესი შრომითი საჩუქრებით შეხვდა პარტიის XXII ყრილობის დელეგატს, ნოვატორი მეშახტის შ. შარვაძის კომუნისტური შრომის ბრიგადა. ამ ბრიგადამ, რომელსაც რთულ გეოლოგიურ პირობებში უხდებოდა მუშაობა, წარმატებით დაძლია სიძნელეები და გეგმის გადამეტებით რვა ეშელონი საკოქსე ქვანახშირი ამოიღო. შვიდწლედისათვის ბრძოლაში ასევე ისახელეს თავი კომუნისტური შრომის იმ ბრიგადებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ გამოცდილი მეშახტეები ა. ბაკურაძე, გ. ჭიქაბერიძე, ზ. ოდიკაძე და სხვ.

ტყიბულელმა მეშახტეებმა ახალი წელი კიდევ უფრო მაღალი ტემპით დაიწყეს და ყოველდღიურად დიდი რაოდენობით იძლევიან სათბობს. იანვრის განვლილ პერიოდში რესპუბლიკის საწარმოებს უკვე გაუგზავნეს გეგმის გადამეტებით ამოღებული რამდენიმე ეშელონი ქვანახშირი.

ამ აღმატებულებას დოქტორ სუკარნოს

ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს

ჯაკარტა.

ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო,

გულწრფელად მოხარული ვარ, ცნობით, რომ თქვენ არ დაშავდით ავაზაკური თავდასხმის დროს მაკასარში მიმდინარე წლის 7 იანვარს.

ღრმა სამძიმარს ვუცხადებ ამ ტერორისტული აქტის დროს დაღუპულთა ოჯახებს და ვუსურვებ მალე გამოჯანმრთელებას აფეთქების დროს დაჭრილ ინდონეზიელ მოქალაქეებს.

საბჭოთა ხალხს, სსრ კავშირის მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით გისურვებთ თქვენ და თქვენი ქვეყნის გმირ ხალხს წარმატებებს ინდონეზიის რესპუბლიკის ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში.

გულწრფელი პატივისცემით

ნ. ხრუშჩოვი.

მოსკოვი, კრემლი 1962 წლის 9 იანვარი.

ა. ი. მიქოიანის მომავალი ვიზიტი მალის რესპუბლიკაში

მალის რესპუბლიკის მთავრობამ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი მიიწვია მალის რესპუბლიკაში.

ა. ი. მიქოიანმა მიიღო ეს მიწვევა და კმაყოფილება გამოთქვა იმ შესაძლებლობის გამო, რომ ესტუმროს მალის რესპუბლიკას განის რესპუბლიკაში ვიზიტის შემდეგ ამ თვეში.

ხელები ეორს თავისუფალი კუბისაგან!

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით 22 იანვარს ურუგვაიში მოწვეულია ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საკონსულტაციო თათბირი თავისუფალი კუბის წინააღმდეგ ბრძოლის „ღონისძიებათა შესასწავლად“, კუბისა, რომელიც თითქოს საფრთხეს უქმნის დასავლეთის ნახევარსფეროს ქვეყნების უშიშროებას.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ ამერიკის ხახელმწიფოთა ორგანიზაციის თათბირის მოწვევა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ცდაა თავს მოახვიონ ლათინური ამერიკის ქვეყნებს კოლექტიური სანქციების მიღება კუბის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭო სსრ კავშირის მშრომელთა სახელით მტკიცე პროტესტს აცხადებს ყოველი იმ ცდის წინააღმდეგ, რომ ჩაერიონ კუბის რესპუბლიკის საშინაო საქმეებში, რომელიც გმირულად იცავს თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. საბჭოთა მშრომელები გულისწყრომით გმობენ ამერიკის იმპერიალიზმის დანაშაულებრივ განზრახვას მოამზადოს აგრესია კუბის წინააღმდეგ. ნათქვამია საკავშირო პროფსაბჭოს განცხადებაში. სსრ კავშირის პროფესიული კავშირები მხურვალე სოლიდარობას უცხადებენ გმირ კუბელ ხალხს მის თავგანწირულ ბრძოლაში სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ახალი, ბედნიერი ცხოვრების აშენებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

სურათზე: კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის მოწინავე ხარატები რ. სოხაძე (მარცხნივ) და ს. ზელენევი. ისინი ასრულებენ რთულ სახარატო სამუშაოებს და ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ბოსკოვი, 8 იანვარი. (საკკორ.). დღეს გაიმართა აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა სოლიდარობის რესპუბლიკური კომიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

სოლიდარობა, მხარდაჭერა

სხდომამ განიხილა ა. ვ. სოფრონოვის მოხსენება აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის სესიის შედეგების შესახებ, რომელიც 1961 წლის 9-11 დეკემბერს გაიმართა ოაზში.

პრეზიდიუმმა განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნა აღმასკომის გადაწყვეტილება, რომ უახლოეს ხანში მოწვეულ იქნეს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა სოლიდარობის კონფერენცია.

ეგრეთ წოდებულ კუბის საკითხზე ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალ თათბირთან დაკავშირებით პრეზიდიუმმა მიიღო განცხადება, რომელშიც მილიონობით საბჭოთა ადამიანის სახელით დაგმო ამერიკელ კოლონიზატორთა ეს ახალი პროვოკაცია კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ და ძმური სოლიდარობა და მხარდაჭერა გამოუცხადა მამაც კუბელ ხალხს მის ბრძოლაში თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის და მის მიერ არჩეული სოციალური წყობილების უფლებისათვის.

პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე მ. შ. ბახტოვის მოხსენება სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის 1961 წლის საქმიანობის შესახებ და დაამტკიცა კომიტეტის მუშაობის 1962 წლის პირველი ნახევრის გეგმა.

ბიბლიოთეკა

ასე ინერგება

დაგე წითელწყაროს ორკონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მექანიზატორ **გიორგი დოლიძის** წინადადებით ტრაქტორზე მოაწყეს სპეციალური მექანიზმი, რომელიც სილოსს ორმოდან იღებს და ტვირთავს ავტომანქანას. მეძროხეობის ფერმაში გამოუყენებულია მექანიზმი, რომელსაც შეაქვს ორგანული სასუქი.

წელს პირველად მოაწყეს ტრაქტორის ლაფეტზე 2 ელევატორი — მარჯვნივ და მარცხნივ. ეს მოწყობილობა სასუქს სწრაფად და თანაბრად ზლის მინდვრად. თვითეული ლაფეტით ყოველდღიურად ზოგავენ 15 შრომადღეზე მეტს.

გიორგი დოლიძის ინიციატივით კეთდება კომბინირებული მექანიზმი, რომელიც მოსავლის აღების დროს მარცვალს გააშრობს, დაახარისხებს და დატვირთავს ავტომანქანებს.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მეოთხე სესია

9 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების მერვე მოწვევის საქალაქო საბჭოს მეოთხე სესია. სესიამ განიხილა საკითხები — თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარების 1962 წლის გეგმა; ქალაქ თბილისის 1962 წლის ბიუჯეტი და 1960 წლის ბიუჯეტის შესრულება.

მოხსენება პირველ საკითხზე გააკეთა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა ა. მელაძემ, მეორე საკითხზე — აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგემ დეპუტატმა კ. სოხაძემ. სესიამ მოისმინა აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მუდმივი სამეცნიერო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ გ. ხომერიკის თანამოხსენება.

სესიამ დაამტკიცა თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარების 1962 წლის გეგმა, ქალაქ თბილისის 1962 წლის ბიუჯეტი და ანგარიში 1960 წლის საქალაქო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

სესიამ მოისმინა აგრეთვე სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ე. სალუქვაძის მოხსენება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს 1961 წლის 12 ნოემბრის დამატებითი არჩევნების შედეგების შესახებ. მან განაცხადა, რომ გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატებად არჩეულნი არიან რ. ი. ფრუიძე და ს. გ. შტემენკო.

განხილულია აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები. სესიამ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრებად აირჩია საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი დეპუტატი რ. ფრუიძე და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსი დეპუტატი გ. აფხაძე.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ. (საქდესი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

9 იანვარს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა მიიღო ბელგიის ელჩი მოსკოვში ი. კოოლსი და გადასცა მას საბჭოთა მთავრობის შემდეგი ნოტა ბელგიის მთავრობისადმი იმასთან დაკავშირებით, რომ ბელგიის თვითმფრინავმა დაარღვია საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცე.

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საბჭოთა მთავრობის დავალებით საჭიროდ მიაჩნია განუცხადოს ბელგიის მთავრობას შემდეგი.

1962 წლის 8 იანვარს 6 საათსა და 18 წუთზე მოსკოვის დროით „კარაველას“ ტიპის № (ლათინური ასო) „ფ“ ე-21078 რეაქტიულმა თვითმფრინავმა, რომელიც ბელგიის საავიაციო კომპანიის „საბენას“ ეკუთვნის, გადაკვეთა სამხრეთიდან საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვარი და ღრმად შეიჭრა საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში.

საჰაერო თავდაცვის სამსახურის არაერთგზის გაფრთხილების შემდეგ თვითმფრინავი დაეშვა ქალაქ გროზნოს რაიონში.

თვითმფრინავში იყო 18 მგზავრი და ეკიპაჟის 8 წევრი.

საბჭოთა მთავრობა ბელგიის მთავრობას პროტესტს უცხადებს იმის გამოო, რომ აღნიშნულმა თვითმფრინავმა დაარღვია საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცე.

სსრ კავშირის მთავრობა მოელის, რომ ბელგიის მთავრობა მიიღებს საჭირო ღონისძიებებს, რათა მომავალში ბელგიის თვითმფრინავებმა აღარ დაარღვიონ სსრ კავშირის საჰაერო სივრცე“.

ვ. ვ. კუზნეცოვმა აცნობა ელჩს, რომ შესაბამისი საბჭოთა ორგანოები დახმარებას უწევენ კომპანია „საბენას“ სსრ კავშირიდან მგზავრების, თვითმფრინავთა და მისი ეკიპაჟის წევრთა გამგზავრებაში.

ელჩმა დიდი სინანული გამოთქვა მომხდარი ამბის გამო და მადლობა გადაიხადა იმისათვის, რომ საბჭოთა მხარემ გამოიჩინა ზრუნვა თვითმფრინავის მგზავრთა და ეკიპაჟის წევრთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობისათვის.

ბელორუსიის სსრ. სპეციალური ცვლთამედგი შენადნობი შექმნა და დანერგა წარმოებაში ნოვატორთა ერთმა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მეტალურგი გ. ს. იუგოვი, ინჟინერები ა. ი. ვასილკოვსკი, მეფოლადე ა. მ. ვდოვინი, მეკარუსელეები ნ. გ. დროზდოვი, ბ. ა. ხეიმანი და სხვ.

ახალი შენადნობის შემქმნელი ავტორები წარდგენილი არიან ლენინური პრემიის მოსაპოვებლად 1962 წელს.

სურათზე: სამუშაოს ხელმძღვანელები გ. ს. იუგოვი და მეფოლადე ა. მ. ვდოვინი.

ფოტო ჩ. მეზინისა. საკდესის ფოტოქრონიკა.

მირნი—ნოვოლაზარევსკაია

ნოვოლაზარევსკაია, 9 იანვარი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი იური ხრომოვი საბჭოთა ანტარქტიკულ სადგურ ნოვოლაზარევსკაიადან გადმოცემულ რადიოგრამაში იუწყება, რომ „ლი-2“ თვითმფრინავმა, რომელსაც მფრინავი ნიკოლოზ სტეპანოვი მართავდა, 7 იანვარს დაამთავრა გადაფრენა გივანტური სანაპირო რკალით მირნი-დეივისი-მოუსონი-ენდერბის მიწა-ნოვოლაზარევსკაია, რომლის საერთო სიგრძე 8.500 კილომეტრია.

ოთხი საათის ფრენის შემდეგ, იუწყება კორესპონდენტი, ჩვენ გადავუარეთ ავსტრალიის დეივისის სადგურს; ხოლო კიდევ სამი საათის შემდეგ დავეშვით მოუსონში — ავსტრალიის გამოკვლევათა მთავარ ბაზაზე ანტარქტიდაში. ნიკოლოზ სტეპანოვმა დასვა მანქანა ყინულის აეროდრომზე.

ენდერბის მიწის რაიონში „ლი-2“ თვითმფრინავიდან განხორციელდა ყინულის დაზვერვა დიზელ-ელექტრომავალ „ობისათვის“, რომელიც მოდის აქ მძიმე ყინულებში.

დილის სამ საათზე ჩვენი თვითმფრინავი დაეშვა ნოვოლაზარევსკაიაში. მირნისაგან განსხვავებით აქ ცოტაა თოვლი, ყავრის სახლები პირდაპირ მთის ქანებზე დგას. ახლა მთავარი ყურადღება ეთმობა ტვირთის გადაზიდვას ბარიერიდან, სადაც დატოვა იგი „ობმა“.

კომუნიზმის მშენებლობის თეორია და პრაქტიკა

კომუნიზმი და შრომა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბარი მეორე

მკითხველო! კომუნიზმის მშენებლის მორალურ კოდექსში შედის ასეთი ზნეობრივი პრინციპი:

— ყველისნდისიერი შრომა საზოგადოების საკეთილდღეოდ: ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს.

სკკპ პროგრამა ხაზს უსვამს კომუნიზმისა და შრომის განუყოფელობას. მასში ნათქვამია:

„კომუნისტურ საზოგადოებაში ადამიანს არ შეუძლია არ შრომობდეს, ამის ნებას არ მისცემს არც თავისი შეგნება, არც საზოგადოებრივი აზრი. შრომა უნარის მიხედვით გახდება საზოგადოების ყველა წევრის ჩვევა, პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება“.

ამასთან დაკავშირებით ქვემოთ ვბეჭდავთ პროფესორ **ვ. ესაიაშვილის** სტატიას **„კომუნიზმი და შრომა.“**

□ □

ჯერ კიდევ კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა გენიალურად განჭვრიტეს კომუნისტური შრომის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, ვ. ი. ლენინმა კონკრეტულად დაამუშავა და ჩამოაყალიბა კომუნისტური შრომის სრული და ამომწურავი დახასიათება, გვიჩვენა კომუნისტური შრომის განვითარებისა და დამკვიდრების გზები. პარტიის ახალ პროგრამაში შემდგომ განვითარებულია მარქსის, ენგელსის, ლენინის შეხედულებანი კომუნისტური შრომის შესახებ, დასახულია ის კონკრეტული გზები და სამუალებანი, რომელთა მეოხებითაც შრომა გადაიქცევა ადამიანის პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად.

კომუნისტური შრომა სრულიად ახალი, უმაღლესი ტიპის შრომაა. იგი თვისებრივად, პრინციპულად განსხვავდება იმ შრომისაგან, რომელსაც ადგილი ჰქონდა ყველა მანამდელ საზოგადოებრივ ეკონომიურ ფორმაციებში და ადგილი აქვს ახლაც ექსპლოატატორულ საზოგადოებაში. კომუნისტური შრომა თავისი პრინციპებით განსხვავდება აგრეთვე სოციალისტური შრომისაგან.

სოციალისტური შრომა წარმოადგენს კომუნისტური შრომის პირველ აუცილებელ სტადიას, ისევე როგორც სოციალიზმი წარმოადგენს კომუნიზმის პირველ, დაბალ საფეხურს, ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა ამ განსხვავებას. იგი ყოველთვის, როცა ახასიათებდა კომუნიზმის დაბალ საფეხურს — სოციალიზმს, ლაპარაკობდა სოციალისტურ შრომაზე და მოითხოვდა არ აგვერია იგი კომუნისტურ შრომაში. „საკითხი კომუნისტური შრომის შესახებ, — წერდა ლენინი, — შეიძლება და უნდა დისკუსია უშუალოდ, — თუმცა უფრო სწორი იქნება ვთქვათ: არა კომუნისტური, არამედ სოციალისტური შრომის შესახებ, ვინაიდან ლაპარაკია კაპიტალიზმიდან აღმოცენებული ახალი საზოგადოებრივი წყობილების განვითარების არა უმაღლეს, არამედ უდაბლეს პირველდაწყებით საფეხურზე“.

ვ. ი. ლენინს აქ ის აზრი აქვს გატარებული, რომ კომუნისტური შრომის შემოღება, მისი დამკვიდრება არ შეიძლება კაპიტალიზმის დამხობის მეორე დღესვე, ეს არ შეიძლება თვით სოციალიზმშიც კი, რომ კომუნისტური შრომის განვითარება რთული და ხანგრძლივი პროცესია და იგი გადის, როგორც აუცილებელ საფეხურს, სოციალისტურ შრომას. სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის პროცესში სოციალისტური შრომა გადაიზრდება კომუნისტურ შრომად. ეს გადაზრდა თანდათანობით წარმოებს, მაგრამ როცა ჩვენი საზოგადოება მთლიანად გადავა კომუნისტურ შრომაზე ეს უკვე იქნება ნახტომი ახალ მდგომარეობაში.

როგორი იქნება შრომა სრულ კომუნისტურ საზოგადოებაში?

„კომუნისტური შრომა სტაყვის უფრო ვიწრო და უფრო ზუსტი გაგებით, — გვასწავლის ლენინი, — უსასყიდლო, უფასო შრომაა საზოგადოების სასარგებლოდ, შრომა, გაწეული არა განსაზღვრული ბეგარის მოსახდელად, არა გარკვეულ პროდუქტებზე უფლების მისაღებად, არა წინასწარ დადგენილი და დაკანონებული ნორმების მიხედვით, არამედ ნებაყოფლობითი შრომა, შრომა ნორმების გარეშე, შრომა გაწეული არა ანაზღაურების ანგარიშით, ანაზღაურების პირობის გარეშე, შრომა გაწეული საერთო სარგებლობისათვის შრომის ჩვევის გამო და საერთო სარგებლობისათვის გაწეული შრომის აუცილებლობისადმი (ჩვევად ქცეული) შეგნებული დამოკიდებულებით, შრომა, როგორც ჯანსაღი ორგანიზმის მოთხოვნილება“.

კომუნისტური შრომის ელემენტები უკვე აქვს სოციალისტურ შრომას, იგი უკვე ახლაც — კომუნიზმის პირველ საფეხურზე ადამიანთა დიდი უმრავლესობისათვის გადაქცეულია სახელის, დიდების, სიმამაცისა და გმირობის საქმედ. ესე იგი ადამიანს ამორავებს არა მარტო პირადი მატერიალური სტიმულები, არამედ შრომის საზოგადოებრივი მოთხოვნილებაც, მაგრამ სოციალიზმში შრომა ჯერ კიდევ სავსებით არ გადაქცეულა ადამიანის პირველ ბუნებრივ მოთხოვნილებად. იგი წარმოადგენს მოახმარების საბრძს. ყოველი მუშაკის პირადი მატერიალური კეთილდღეობის დონე განისაზღვრება მის მიერ გაწეული შრომის რაოდენობითა და ხარისხით. შრომის უფლება აქვს ყველას, მაგრამ შრომა ამავე დროს თვითეული მოქალაქის კანონით აღიარებული და განმტკიცებული მოვალეობაა.

სოციალიზმში, რამდენადაც სამომხმარებლო საგნების განაწილება წარმოებს შრომის მიხედვით, ამდენად ჩვენ გამბობთ, რომ შრომა წარმოადგენს ადამიანის ცხოვრების, არსებობის აუცილებელ პირობას ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მართლაც, თვითეულმა უნდა იშრომოს, რომ მიიღოს ამის შესაბამისი საარსებო საშუალებანი და იარსებოს, იცხოვროს. მაშასადამე, შრომა აქ უშუალოდ არის „ცხოვრების საშუალება“.

კომუნიზმის უმაღლეს საფეხურზე შრომა იძენს ახალ თვისებას. აქ უკვე, როგორც კ. მარქსი ამბობდა, „შრომა არა მარტო ცხოვრების საშუალება იქნება, არამედ — თვით პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება“. შრომა ადამიანის ჯანსაღი ორგანიზმის პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება იქნება.

მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს შრომა კომუნიზმში აღარ წარმოადგენს საერთოდ ადამიანთა საზოგადოების „ცხოვრების საშუალებას“. შრომა ყოველგვარ საზოგადოებრივ წყობილებაში არის არსებობის პირველი გადამწყვეტი და მარადიული პირობა. უშრომოდ არცერთ საზოგადოებას არ შეუძლია არსებობა. ამ აზრით შრომა კომუნიზმშიც წარმოადგენს „არსებობის საშუალებას“. მაგრამ, რამდენადაც კომუნიზმში ადამიანები თავიანთ საარსებო საშუალებებს იღებენ არა შრომის, არამედ მოთხოვნილების მიხედვით, ამდენად ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ შრომა კომუნიზმში უშუალოდ აღარ წარმოადგენს ცხოვრების საშუალებას, შრომა უკვე ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებაა.

შრომას კომუნისტურ საზოგადოებაში არ ესაჭიროება გარეგანი იძულება, მატერიალური სტიმულები. შრომა კომუნიზმში წარმოადგენს პიროვნების, იმდენადაც ადამიანის მამოვლინების ფორმასა და საშუალებას, ხოლო პიროვნების რეალიზაცია, მისი გამოვლინება, სრულად გამოყენება უმაღლესი ადამიანური მისწრაფებაა, შინაგანი ადამიანური მოთხოვნილებაა. პიროვნების ამ მისწრაფების მიღწევა უზრუნველყოფილია იმით, რომ ხორციელდება პრინციპი: „თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით“. პირველად ყაბორობის ისტორიაში თვით შრომა იქცევა დატკბობის წყაროდ და ამიტომ ჯანსაღი ორგანიზმის მოთხოვნილებად.

მაგრამ კომუნისტური საზოგადოების სახელმძღვანელო პრინციპის პირველი ნაწილი მოითხოვს, როგორც აუცილებელს, სავალდებულო შრომას, „თვითეულისაგან უნარის მიხედვით“. კომუნიზმშიც ისევე, როგორც სოციალიზმში, ყოველი უფლება გულისხმობს მოვალეობას. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა თვითეული შრომისუნარიანი მოქალაქის საზოგადოებრივი მოვალეობაა სრულ კომუნისტურ საზოგადოებაშიც.

მაგრამ ამ მოვალეობას კომუნისტური საზოგადოების მოქალაქე ასრულებს სრული შეგნებით, იმის ღრმა შეგნებით და მოსაზრებით, რომ მთელი საზოგადოებისა და თვითეულის კეთილდღეობისათვის აუცილებელია საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გაწევა. მაშასადამე, კომუნისტური შრომა არის მაღალი შეგნებით ნაკარნახევი შრომა.

ზოგი ფიქრობს, რომ კომუნისტურ საზოგადოებაში წარმოების პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შედეგად ადამიანის კუნთურ შრომას შეცვლის რა მანქანა, ხოლო ადამიანს დარჩება მანქანის ან მანქანათა მთელი სისტემის მართვის, თვალყურის დევნების როლი და სამუშაო დღე მინიმუმამდე იქნება შეკვეცილი, ასეთ პირობებში, შრომა უბრალო გართობად, თამაშობათ გადაიქცევა.

ეს შეცდომა ახალი არ არის. ასეთ შეცდომას უშვებდნენ დიდი სოციალ-უტოპისტებიც. მაგალითად, შარლ ფურიე ფიქრობდა, რომ კაპიტალიზმის დამხობასთან ერთად შრომა მძიმე და მომქანცველი ტვირთიდან გადაიქცეოდა უბრალო გართობად, თამაშობად.

კ. მარქსი აკრიტიკებდა ფურიეს ამ გულუბრყვილო, უტოპიურ შეხედულებას. იგი „კაპიტალის“ მოსამზადებელ შრომებში, 1857-1858 წლების ხელნაწერებში, ორ ადგილას აღნიშნავს ფურიეს ამ შეცდომას. ერთ ადგილას მარქსი წერს: „შრომა არ შეიძლება გადაიქცეს თამაშობად, როგორც ეს ფურიეს უნდა“. მეორე ადგილას მარქსი, უკვე კრიტიკასთან ერთად, პოზიტიური ფორმით გამოთქვამს თავის შეხედულებას კომუნისტურ შრომაზე. შრომის განთავისუფლება ექსპლოატაციისაგან, წერს მარქსი, „სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ასეთი შრომა უბრალო გართობაა, უბრალო ქმაყოფილება, როგორც ეს სრულიად გულუბრყვილოდ... ესმის ფურიეს. ნამდვილად თავისუფალი შრომა, მაგალითად, კომპოზიტორის შრომა, ამავე დროს არის უაღრესად სერიოზული საქმე, უინტენსიურესი დაძიმულობა“. შრომა მარქსისტული გაგებით არის ადამიანის კუნთების, ნერვების, ტვინის ენერგიის მიზანშეწონილი ხარჯვა. უამისოდ შეუძლებელი იქნება კომუნისტურ საზოგადოებაშიც მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა შექმნა, ურომლისოდაც საერთოდ არ შეიძლება არსებობა. კომუნიზმში უაღრესად განვითარებული იქნება წარმოება, ტექნიკა, მაგრამ უადამიანებოდ მანქანები ვერ იმუშავებენ. კომუნიზმშიც აუცილებელია შრომა. ამრიგად, კომუნისტური შრომაც შრომაა და ადამიანებს მაშინაც დასჭირდებათ სერიოზული გარჯა, მოსაქმეობა, ენერგიის მიზანშეწონილი ხარჯვა. ეს სრულიად ბანალური ჭეშმარიტებაა.

მაშ რაში მდგომარეობს კომუნისტური შრომის თავისებურება?

კომუნისტური შრომა, იძულების გარეშე შრომაა. ეს ისეთი შრომაა, რომელიც გამოწვეულია **არა საარსებო საშუალებათა მოპოვების აუცილებლობით**, არამედ საზოგადოებისათვის სამსახურის გაწევის **დაუცხრომელი წყურვილით**. ეს არის კომუნისტური შეგნებულობით ნაკარნახევი შრომა. კომუნიზმში, როგორც ეს პარტიის ახალ პროგრამაშია მითითებული, „ყველას ექნება შეგნებული თავისი შრომა მოახმაროს როგორც მატერიალური, ისე სულიერი სიკეთის შექმნას“.

სოციალისტური შრომის კომუნისტურ შრომად გადაზრდის მატერიალური საფუძველია წარმოების ავტომატიზაცია და კომპლექსური მექანიზაცია.

პარტიის ახალი პროგრამა ითვალისწინებს, რომ ჯერ კიდევ პირველ ათწლეულში განხორციელდება კომპლექსური მექანიზაცია მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, კომუნალურ მეურნეობაში. ამის შედეგად მოხდება ხელით შრომის ლიკვიდაცია როგორც ძირითად, ისე დამხმარე ოპერაციებში.

20 წლის განმავლობაში კი მასობრივად განხორციელდება წარმოების კომპლექსური ავტომატიზაცია, ფართოდ დაინერგება ავტომატური ხაზები, ავტომატური მანქანები, ავტომატიკა, ტელემექანიკა და ელექტრონიკა. ავტომატური და ნახევრად ავტომატური ხაზების გამოშვება გაიზრდება 60-ჯერ და მეტად.

კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია ძირეულად შეცვლის შრომის ხასიათს. შრომა გახდება მაღალკვალიფიციური და იგი აკა ინჟინერ-ტექნიკური შრომის დონემდე.

შრომის პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია ადამიანის კუნთურ შრომას სცვლის მანქანური შრომით, ათავისუფლებს ადამიანს მძიმე და მომქანცველი შრომისაგან, მას რჩება მანქანის, ან მანქანათა მთელი სისტემის მმართველის, მარეგულირებლის როლი. შრომა ხდება იოლი, ჰიგიენური და სასიამოვნო. ადამიანს იზიდავს და ახარებს არა მარტო შრომის უშუალო შედეგი, არამედ თვით შრომის პროცესიც. ახლა მას შეუძლია დატკბეს თავისი ფიზიკური და სულიერი ძალების ღიღი მოძრაობით; კომუნიზმში საერთო სარგებლობის ინტერესებით ნაკარნახევი შრომა საერთო მოვლენა ხდება. კომუნისტურად აღზრდილი და შეგნებული ადამიანისათვის უდიდესი სასჯელი იქნება უსაქმურად, უშრომლად ყოფნა.

შრომის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შედეგად მცირედი შრომის დახარჯვით მიღება დიდი ეფექტი. მატერიალური წარმოებიდან გასთავისუფლება ადამიანთა დიდი რაოდენობა, მნიშვნელოვნად შემცირდება სამუშაო დრო. საზოგადოების განკარგულებაში იქნება დიდძალი თავისუფალი დრო, რაც გამოყენებული იქნება მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების, ყოველმხრივ განვითარებ-სა და კულტურულად გართობა-დასვენებისათვის, კომუნიზმში, როგორც მარქსი შენიშნავდა, „სიმდიდრის საზომი იქნება უკვე არა სამუშაო დრო, არამედ თავისუფალი დრო“.

შრომის პროცესების ყოველმხრივი მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შედეგად, ფართოდ დაყენებული სწავლა-აღზრდის პირობებში ადამიანებს შეეძლებათ გაცილებით ადვილად დაეუფლონ წარმოების საერთო პრინციპებს, დახელოვნდნენ რამდენიმე დარგში, განვითარდნენ ყოველმხრივ და ჰარმონიულად.

ადამიანი შეძლებს თავისი ცხოვრების მანძილზე იმოღვაწეოს საზოგადოებრივი შრომის სხვადასხვა სფეროში, ემსახუროს სხვადასხვა პროფესიას. ე. ი., როგორც მარქსი და ენგელსი ამბობდნენ, „კომუნისტურ საზოგადოებაში თვითეული განსაკუთრებული სამოქმედო ასპარეზით კი არ არის შეზღუდული, არამედ ყოველ დარგში შეუძლია განვითარდეს და გაიწვრთნას“.

კომუნისტური საზოგადოების მოქალაქე მრავალმხრივ განვითარებული და მაღალკულტურული ადამიანია, მრავალფეროვანია მისი მოთხოვნილებანი, საზოგადოებრივი ინტერესები, მიდრეკილებანი, და თუ გავითვალისწინებთ, რომ კომუნიზმში სამუშაო დრო მინიმალურად მოკლე იქნება, ხოლო შრომა იოლი და მიმზიდველი, მაშინ ადვილად წარმოვიდგენთ, რომ ადამიანები შეძლებენ მატერიალურ წარმოებაში შრომასთან ერთად იმოღვაწონ „სულიერი წარმოების“ მათთვის სასურველ დარგში — მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში და სხვ.

ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა შეიქმნას პირობები იმისათვის, რომ მოისპოს ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებული ანსებითი განსხვავება და შრომა გადაიქცეს ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებად. შრომა სპეციფიკური ადამიანური თვისებაა. იგი შეგნებული, მიზანშეწონილი, გეგმიანი პროცესია და მასში მონაწილეობას იღებს ადამიანის როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი უნარი. ჩვენში მოსპობილია დაპირისპირება ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის, დარჩენილია მათ შორის არსებითი განსხვავება, რომელიც გაქრება სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის პროცესში და ამრიგად მოხდება ფიზიკური და გონებრივი შრომის შეერთება.

კომუნისტური შრომის დამკვიდრებისათვის საჭიროა საზოგადოების ისეთი ეკონომიური და კულტურული ზრდა, რომელიც საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფს მათი ფიზიკური და გონებრივი უნარის ყოველმხრივ განვითარებას, რათა საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მიიღონ საკმაო განათლება იმისათვის, რომ გახდნენ საზოგადოებრივი განვითარების აქტიური მოღვაწენი რათა შესაძლებლობა ჰქონდეთ შრომის არსებული დანაწილების გამო მთელ სიცოცხლეში მოღვაწეული კი არ იყვნენ ერთ რომელიმე პროფესიაზე, არამედ თავისუფლად აირჩიონ საქმიანობის დარგი.

საზოგადოების წევრთა ყოველმხრივი განვითარებისათვის საჭიროა ფართოდ განვითარდეს პოლიტექნიკური სწავლება. წარმოების მექანიზაცია, ავტომატიზაცია და ამასთან პოლიტექნიკური განათლება საშუალებას მისცემს ადამიანს განთავისუფლდეს პროფესიული მოჯაჭვულობისაგან და თავისუფლად აირჩიოს პროფესია.

პოლიტექნიკური პრინციპი, როგორც ლენინი აღნიშნავდა, არ მოითხოვს ყველაფრის სწავლებას, არამედ მოითხოვს თანამედროვე ინდუსტრიის საფუძვლების სწავლებას საერთოდ. თანამედროვე წარმოების ძირითად საფუძვლებს გაცნობილი ადამიანი შრომის პროცესების სრული მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პირობებში ადვილად შეძლებს თავისი ძალები და ნიჭი გამოიყენოს საზოგადოებრივი შრომის იმ სფეროში, რომლისადმიც მას მეტი მიდრეკილება აქვს. ამასთან შეიძლება გადავიდეს მატერიალური წარმოების ერთი დარგიდან მეორეში და მატერიალური წარმოებიდან „სულიერი წარმოების“ მისთვის სასურველ სფეროში. მაგრამ პროფესიული მოჯაჭვულობის მოსპობა ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს კომუნიზმის დროს ისპობოდეს შრომის ყოველგვარი დანაწილება და, მაშასადამე, პროფესიები და სპეციალობანი. არა. პროფესიები და სპეციალობანი კომუნიზმშიც იქნება.

რა თქმა უნდა, იმისათვის, რომ კარგი ქირურგი იყო, საჭიროა ხანგრძლივი სწავლა, შემდეგ მრავალი წლის დაკვირვება, გამოცდილება და გაწაფვა. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ პროფესიული მოჯაჭვულობის მოსპობაც არ ნიშნავს პროფესიის წარამარა ცვლას. საყვარელი პროფესია, რომელიც შემომქმედებით სიხარულსა და კმაყოფილებას ანიჭებს ადამიანს, [illegible] პროფესიად გაიხადოს, მაგრამ [illegible] ყოს სხვა საქმიანობას თავისი ნიჭისა და მიდრეკილების მიხედვით, ერთდროულად აკეთოს რამდენიმე საქმე.

მაშასადამე, ლაპარაკია არა პროფესიებისა და სპეციალობათა მოსპობაზე, არამედ პროფესიული მოჯაჭვულობის მოსპობაზე. ე. ი. ისეთი მდგომარეობის მოსპობაზე, როცა ადამიანი არსებობის შენარჩუნებისათვის იძულებულია მთელი ცხოვრების მანძილზე ერთ რომელიმე პროფესიას ემსახუროს.

ასეთი იძულება, ასეთი აუცილებლობა გაქრება. ეს არის მთავარი და მნიშვნელოვანი. ასეთ პირობებს ქმნის სწორედ კომუნიზმი და ეს აუცილებელია კომუნისტური შრომის განხორციელებისათვის.

ეს პროცესი ძალიან სწრაფად მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში.

უკვე ახლაც მილიონობით მუშები, კოლმეურნეები აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფო მართვა-გამგეობის ორგანოებში, მრავალ სხვადასხვა საზოგადოებრივი, კულტურული ორგანიზაციების მუშაობაში. ჩვენს ქვეყანაში უკვე ასეთი ათასობით ინჟინერ საშუალო განათლების მქონე მუშები, კოლმეურნეები, რომელთა საზოგადოებრივი შრომითი საქმიანობა არ განისაზღვრება მხოლოდ მატერიალურ წარმოებაში მონაწილეობით, არამედ თავისუფალ დროს ეწოფებიან მუსიკას, ლიტერატურას, თეატრალურ საქმეს, ფიზკულტურას და სხვ.

კომუნისტური შრომის ჩანასახები, მისი ელემენტები მრავლად მოიპოვება სოციალიზმში. ლენინმა ჯერ კიდევ 1919 წელს მოწყობილ პირველ კომუნისტურ შაბათობაში დაფახა კომუნისტური შრომის ყლორტები. ხუთწლედების მანძილზე ფართოდ გაიშალა სოციალისტური ბრძოლა და დამკვიდრება, რაც შემდეგ გადაიზარდა ძლევამოსილ სტახანოვურ მოძრაობაში, ხოლო უკანასკნელ ხანებში წარმოიშვა ჩვენი დროის შესანიშნავი მოძრაობა—კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნისა და დამკვიდრების მოძრაობა, რომელშიც როგორც საკავშირო ჩანს მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური აღმავლობა, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების განვითარება.

კომუნისტური შრომის ბრიგადების წევრთა და დამკვრელთა შრომა შემოქმედებითი შრომაა, რომელსაც აქვს ნათლად შეგნებული მიზანი. მათი შრომა შეიცავს გონებრივი შრომის მრავალ ელემენტს, რითაც იცვლება თვით შრომის ტიპი. გეგმიანობა, საზრიანობა, ტექნიკური ანგარიში, რაციონალიზატორული და საგამომგონებო აზრი, სამუშაოს პრინციპების განზოგადება—ეი გონებრივი შრომის ელემენტები, რომლებითაც გამდიერებულია მათი ფიზიკური შრომა. მათ შრომაში, შეიძლება ითქვას, ძირითადად უკვე დაძლეულია მანძილი შრომის ფიზიკურ და გონებრივ მხარეს შორის და იგი თავისი შინაარსით უახლოვდება ინჟინერ-ტექნიკოსთა შრომას.

კომუნისტური შრომის ბრიგადების მოძრაობაში შესანიშნავია ის, რომ მათ ამოძრავებთ არა მარტო მატერიალური, არამედ უმთავრესად მორალური სტიმულები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია გაგანოვური მოძრაობა. მისი დამახასიათებელია პირველ რიგში საერთო ინტერესებისათვის ზრუნვა, რაც ასე საჭიროა კომუნისტური შრომის თვისებების განვითარებისათვის.

კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების მოძრაობის დევიზი ხომ ის არის, რომ „ვისწავლოთ კომუნისტურად შრომა და ცხოვრება“. ეს დიდებული მოძრაობა სულ უფრო ფართოვდება, იზრდება და ახალ საფეხურზე ადის. ახლა კომუნისტური შრომის სახელწოდებისათვის იბრძვიან უკვე მთელი საამქროები, ქარხნები და ფაბრიკები. ამ მოძრაობის მონაწილეთა რიცხვი უკვე 20 მილიონს აღწევს. კომუნისტური შრომის ბრიგადების მოძრაობა კომუნისტური შრომის დამკვიდრების უმნიშვნელოვანესი გზაა.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ კომუნისტური შრომის მოძრაობის მონაწილეთა და გაგანოველთა შრომა წარმოადგენს კომუნისტური შრომის ძვირფას ჩანასახს. ბევრი მეცნიერის, გამომგონებლ-, ნოვატორის, საზოგადო მოღვაწის შრომა, რომელიც გამოწვეულია არა პირადი გამორჩენის მიზნით, არამედ ნაკარნახევია უშუალოდ ხალხისათვის სამსახურის გაწევის დაუცხრომელი წყურვილით, უკვე წარმოადგენს კომუნისტური შრომის ნიმუშს. კომუნისტური შრომის ეს ყლორტები თანდათანობით გაიშლება, განვითარდება, საზოგადოების ყველა წევრში დაინერგება შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება.

მართალია, სოციალიზმმა შექმნა კაპიტალიზმთან შედარებით შრომის უმაღლესი ორგანიზაცია და დისციპლინა, საზოგადოების დიდ უმრავლესობაში დამკვიდრდა შრომისადმი ახალი, სოციალისტური დამოკიდებულება, შეგნებული დისციპლინა, სულ უფრო იზრდება მორალური სტიმულები, მაგრამ ჯერ კიდევ არის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, შრომისათვის თავის არიდება, უსაქმურობა, მოქთახორობა.

სასტიკად სცდება ის ვინც ფიქრობს, რომ კომუნიზმში ყველაფერი მოთხოვნილების მიხედვით იქნება და რაღა საჭიროა შრომაო. სწორედ, ასეთი ადამიანები ჰყავდა მხედველობაში ნ. ს. ხრუშჩოვს, როცა ამბობდა, რომ არიან ადამიანები, რომლებიც ასე მსჯელობენ: „კომუნიზმის დროს გინდა იმუშავე, გინდა იარე შორეულ აღმოსავლეთიდან დასავლეთში, დასავლეთიდან სამხრეთში, სულ ერთია მიიღებ მოთხოვნილების მიხედვითო“. ერთადერთი რამ, რასაც ისინი ამზადებენ კომუნიზმისაფვის, არის ყველაზე დიდი კოეზი“. ცხადია, ასეთ მსჯელობას საერთო არაფერი არ აქვს კომუნიზმთან.

კომუნიზმის პირველ საფეხურზე საზოგადოება არც შეიძლება სავსებით თავისუფალი იყოს კაპიტალიზმის ამ ნაშთებისაგან. ამიტომ შრომის სოციალისტური ორგანიზაცია გულისხმობს სავალდებულო ნორმებს, სახელმძღვანელო წესებსა და შრომის კანონებს, რომელთა დაცვისათვის, დარწმუნების, აღმზრდელობის ღონისძიებებთან ერთად გამოყენებულია იძულების საშუალებებიც. სოციალიზმში აუცილებელია, როგორც ლენინი ამბობდა, „საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრივ უსასტიკესი კონტროლი შრომის ზომასა და მოხმარების ზომაზე“. შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის ეს პრინციპები სავსებით შეესაბამება საწარმოო ძალთა განვითარების, შრომის ნაყოფიერებისა და კომუნისტური შეგნებულობის სოციალიზმის საფეხურზე მიღწეულ დონეს.

სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ პარტიის ახალი პროგრამამ მომავალი ოცი წლის მანძილზე მშრომელთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ძირითად წყაროდ მიჩნეულია შრომის მიხედვით ანაზღაურება. შრომის ამ პრინციპების თანმიმდევრულად გატარება, მათი შემდგომი განმტკიცება და განვითარება წარმოადგენს საფუძველს, რომელზეც უნდა აღიზარდოს და დამკვიდრდეს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდის საქმეში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ სოციალისტური სახელმწიფოს შრომის კანონები.

შრომის კანონები, ნორმები, სახელმძღვანელო წესები სულ უფრო ფართოდ ინერგება ადამიანთა შეგნებაში. მათი დაცვა და გაუხრლად განხორციელება ჩვეულებად იქცევა. „შრომის ჩვეულება კი იქცევა ნორმად“ (ლენინი). მტკიცდება საზოგადოებრივი აზრი შრომის აუცილებლობის, დისციპლინის დაცვის შესახებ.

ჩვენს საზოგადოებაში არ არის ადგილი იმათთვის, ვინც არ შრომობს. ასეთ ადამიანს ზიზღით უყურებენ, თელიან მას პარაზიტად, საბჭოთა ადამიანების შრომითი თანამეგობრობის მტრად. მტკიცე საზოგადოებრივ აზრს უდიდესი ზემოქმედების ძალა აქვს. შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების განვითარება გვარწმუნებს, რომ ის, რაც ახლა კანონის ძალით არის დადგენილი, როგორც ადამიანის მოქმედების, საზოგადოებრივი ქცევის ნორმა და წესი, დროთა განმავლობაში ჩვეულებრივი, ნებაყოფლობითი მოქმედების ნორმად და წესად იქცევა და როცა ეს იქნება, მაშინ აღარც კანონები, ე. ი. იძულება იქნება საჭირო.

ასე აღიზრდება შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, ასე განვითარდება და დამკვიდრდება კომუნისტური შრომა.

ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს დიდი ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადამიანები მიეჩვევიან ნებაყოფლობით შრომას, როცა შრომა ადამიანის პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაიქცევა მხოლოდ „მაშინ ფართოდ გაიღება კარები კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზიდან მის უმაღლეს ფაზაზე გადასვლისათვის.“

პროფესორი ვ. ესაიაშვილი.

> **შრომა... არის მარადიული ბუნებრივი აუცილებლობა ადამიანთა ცხოვრებისა და ამიტომ დამოუკიდებელია ამ ცხოვრების ამა თუ იმგვარი ფორმისაგან, პირიქით საერთოა მისი ყველა საზოგადოებრივი ფორმისათვის.**
>
> **კ. მარქსი.**
>
> **ჩვენ მივალთ კომუნისტური შრომის გამარჯვებამდე!**
>
> **ვ. ი. ლენინი.**

> **მსოფლიოში ყველაზე მშვენიერი არის ის, რაც შრომითაა შექმნილი.**
>
> **მაქსიმ გორკი.**

> **დღეს მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება.**
>
> **ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს.**
>
> **ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა.**
>
> **ილია ჭავჭავაძე.**

> **„ბედნიერება ამ ქვეყნად — შეერთებული შრომაა.“**
>
> **აკაკი წერეთელი.**

ივრისპირეთის ბარაქა

ეჩვეული სანახავია თვალუწვდენელი მინდვრები, „ალილილის“ კლდეებთან რომ იწყება და „ჩათის“ მთებამდე აღწევს. ცხვრის ფარები მოძრაობენ. დროდადრო მეცხვარეთა ომახიანი შეძახილები ისმის. ნაცრისფერ ავშანს ქინძის სუნი ასდის. ცხვარი მადიანად შეექცევა. ყარღანიც ბევრია, როცა სხვა ბალახი გამოიღევა, არც ის არის დასაწუნი.

ბნელ ღამეში ივრისპირეთი დუმილში იძირება. მეცხვარეთა ბინებიდან ლამპის შუქი გამოკრთის. ხემცირე ხეობებიდან მგლის ყმუილი ისმის...

შუადამე გადასული იყო, როცა შალაურის კოლმეურნეობის მეცხვარეთა ბინაში მივედით. ნაგაზები ავტომანქანიდან ჩამოსვლის უფლებას არ გვაძლევენ. რა ქნან, ასე ჰქონიათ ნაბრძანები. ახლადნაგები ქვიტკირის შენობიდან ბრგე ვაჟკაცი გამოვიდა, ქოფაკებს შეეხმიანა, დააწყნარა და ბინაში შეგვიძღვა. ფერმის თავკაცმა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ირაფიონ ჯავახიშვილს უმალვე სოფლის ამბები გამოკითხა. ზვრების დამუშავება, ახალი ვენახების გაშენება, მზრალად ხვნა — ყველაფერი აინტერესებს. თუ სიმინდი და ყურძენი ბევრი არ მოვიდა, მარტო ცხვარი ხომ არ დარჩენს სოფელს.

ოცდახუთი წელია, რაც ივანე გრიშიკაშვილი უცვლელად მეთაურობს ფერმას. ზამთარს შირაქში ატარებს, ზაფხულს კავკასიონის იალაღებზე. არ ყოფილა შემთხვევა, რომ თანასოფლელებთან პირადი გამოსულიყოს. ცხვარ-ბატკანს ამრავლებს, კოლმეურნეობის დოვლათი ახარებს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე დაინტერესდა, იციან თუ არა მეცხვარეებმა პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი, ფერმის [illegible]ბა წარმოებს შრომის მიხედვით, ამდენად ჩვენ გამბობთ, რომ შრომა წარმოადგენს ადამიანის ცხოვრების, არსებობის აუცილებელ პირობას ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მართლაც, თვითეულმა უნდა იშრომოს, რომ მიიღოს ამის შესაბამისი საარსებო საშუალებანი და იარსებოს, იცხოვროს. მაშასადამე, შრომა აქ უშუალოდ არის „ცხოვრების საშუალება“.

კომუნიზმის უმაღლეს საფეხურზე შრომა იძენს ახალ თვისებას. აქ უკვე, როგ

საერთაშორისო თანამშრომლობის ნიმუში

კანბერა, 8 იანვარი. (საკდესი). დღეს ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბარუიამ ავსტრალიის მთავრობის სახელით მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს დახმარებისათვის, რომელიც გაუწიეს მათ მძიმე ავადმყოფს ავსტრალიელ პოლარელს ალან ნიუმანს ანტარქტიკის ძნელ პირობებში. ეს დახმარება, განაცხადა ბარუიამ, საერთაშორისო თანამშრომლობის ნიმუშია.

...დიდი ხნის განმავლობაში ავსტრალიის ანტარქტიკული ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი ალან ნიუმანი ავად იყო მძიმე სენით. მისი სიცოცხლე საფრთხეში იყო. ავსტრალიის ხელისუფალთა თხოვნით იგი საბჭოთა „ილ-18“ თვითმფრინავით ავსტრალიის ანტარქტიკული ბაზიდან ჩაიყვანეს მირნინში, სადაც საბჭოთა ექიმებმა კვალიფიციური სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

დიდი მაღლობა

ლეოპოლდვილი, 9 იანვარი. (საკდესი). კონგოს რესპუბლიკის დედაქალაქ ლეოპოლდვილში საბჭოთა თვითმფრინავის „ილ-18“ მოსვლამ, რომელმაც აქ ჩამოიყვანა საბჭოთა ექიმების ჯგუფი, ჩამოიტანა მედიკამენტები და სურსათი კონგოს წყალდიდობისაგან დაზარალებული რაიონების მოსახლეობისათვის, გაცხოველებული გამოხმაურება გამოიწვია კონგოს საზოგადოებრიობასა და მოსახლეობაში. ადგილობრივმა გაზეთებმა მოათავსეს დაწვრილებითი ცნობები საბჭოთა თვითმფრინავის მოსვლის შესახებ და საბჭოთა ექიმების ფოტოსურათები.

ლეოპოლდვილის რადიო, რომელიც ჩვეულებრივ მეტად თავშეკავებულია საბჭოთა კავშირის მიმართ, ამჯერად ძალიან გულთბილად გამოეხმაურა საბჭოთა ხალხის დახმარებას იმ რაიონთა მოსახლეობისადმი, რომლებმაც სერიოზული სტიქიური უბედურება განიცადეს. რადიოთი არაერთხელ გადასცეს რეპორტაჟი ნჯილის აეროდრომიდან და საბჭოთა ექიმების დელეგაციის მეთაურის ა. პ. კუზმიჩევის, კონგოს რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოება პრეზიდენტის ჟოზეფ დავიერისა და კონგოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებულის ლ. გ. პოდგორნოვის გამოსვლები, რომლებიც ფირსა ჩაწერილი.

უახლოეს დღეებში საბჭოთა ექიმები წავლენ მუშაობის ადგილას. ერთი ჯგუფი ხუთი კაცის შემადგენლობით გაფრინდება ეკვატორულ პროვინციაში, ხოლო მეორე, რომელშიც ოთხი კაცი შედის, — აღმოსავლეთ პროვინციაში.



უოშინგტონი საგარეო საქმეთა მინისტრმა კრისტიან პინომ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც წერს: „ოსა-ის მიზანია ხელისუფლების ხათაფეში მაყენოს ინ. ვე ტიბის ნაციონალური მთავრობა, რომელიც გერმანიაში არსებობდა ჰიტლერის დროს. ოსელებმა პირდაპირი კავშირი დაამყარეს ყოფილ ნაციონალებთან. ფაშიზმი საფრანგეთში კარზე კი აღარ გვიკაკუნებს, არამედ ლამობს შემოგვიმტვრიოს კარი“.

(გაზეთებიდან).

ნახ. გ. ლომიძისა.

მაკმილანის ვიზიტი გონში

გონი, 9 იანვარი. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტი გ. გურიანოვი იუწყება: გუშინ გვიან საღამოს ინგლისის პრემიერ-მინისტრი მაკმილანი საგარეო საქმეთა მინისტრის ჰიუმის თანხლებით ჩამოვიდა ბონში დასავლეთ გერმანიის კანცლერ ადენაუერთან სალიდუმლო მოლაპარაკებისათვის. ხვალ დღის პირველ ნახევარში მაკმილანი პირისპირ ესაუბრება ადენაუერს მის ბონის რეზიდენციაში „შუმბურგის სასახლეში. შემდეგ მოლაპარაკებში მონაწილეობას მიიღებენ საგარეო საქმეთა მინისტრები და ექსპერტები. მაკმილანს განზრახული აქვს დაბრუნდეს ლონდონში. ხოლო ჰიუმი აპირებს „გასაცნობად“ გაემგზავროს დასავლეთ ბერლინში.

აქ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ადენაუერის მოლაპარაკებს მაკმილანთან. ბონის ოფიციალური განცხადებით მოლაპარაკების მტკიცე დღის წესრიგი არ არის. მიუხედავად ამისა, ბონის პოლიტიკური მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ადენაუერთან მაკმილანის მოლაპარაკების საგანი იქნება საკითხთა სავსებით გარკვეული წრე, მიაჩნიათ, რომ ინგლისის პრემიერ-მინისტრი დასავლეთ გერმანიის კანცლერთან განიხილავს გერმანიის პრობლემას და უწინარეს ყოვლისა დასავლეთ ბერლინის საკითხს, ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის სამხედრო ძალიერების შემდგომ გაღიდებას, სამხედრო-საფრანსო საკითხებს, დასავლეთ ევროპის პოლიტიკური კავშირის შექმნასა და ინგლისის შესვლას ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში.

როგორც მთავრობასთან დაახლოებული გაზეთის „ფრანკფურტერ ალგემაინეს“ ცნობიდან ჩანს, მაკმილანთან მოლაპარაკებაში ადენაუერი მოითხოვს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის სამხედრო ძალიერების შემდგომ გაღიდებას და ნატოს გადაქცევას „ატომურ სახელმწიფოდ“.

ამ მოთხოვნით ბონი ნიღბავს თავის მისწრაფებას აღკუთვნოს ბუნდესვერი ატომგულის იარაღით და მიიღოს ამ იარაღის გამოყენების უფლება. დღემდე ლონდონი თავშეკავებას იჩენდა ამ საკითხში. ამიტომ ფედერალური კანცლერი მზად არის ატომური იარაღით ბუნდესვერის აღჭურვაზე ინგლისის თანხმობის სანაცვლოდ, დაეთანხმოს ლონდონის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ ბონმა იკისროს დასავლეთ გერმანიაში ინგლისის ჯარების შენახვის ხარჯები და გაადიდოს იარაღის შესყიდვა ინგლისში.



გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. ჰამბურგის ახლოს დერსტორფის თემში მრავალი წელია მუშაობს მოჯამაგირე ბორგასი. დილიდან საღამომდე შრომობს იგი კუალა პეტერსის ფერმაში. ღარიბად ცხოვრობს ბორგასის ოჯახი — ცოლი და ოთხი შვილი. მთელი რიგი წლების განმავლობაში კუალი ხელფასს აკლებდა თავის მოჯამაგირეს. და ბორგასმა გადაწყვიტა სამართალი ეპოვნა — მოითხოვა, რომ პეტერსს გადაეხადა მისთვის კუთვნილი ხელფასი.

მიწათმფლობელმა დაითხოვა ბორგასი და სასამართლოს გამოტანანინა განაჩენი, რომ მისი ოჯახი ბინიდან გამოესახლებინათ. ბორგასს ნივთები ქუჩაში გამოუყარეს, თვითონ იგი და მისი ცოლ-შვილი სასლიდან გამორეკეს.

— სად წავიდეს? ვისთან იჩივლოს? ხელისუფალნი კუალაკს უჭერენ მხარს. მოსამართლეებმა უკვე გადწყვიტეს საქმე. უმდურმა ოჯახმა ჯერჯერობით თავი შეაფარა ფიცარულ ქოხს. აქ იატაკზე დაცოცავენ ერთი წლის კრისტა, სამი წლის პეტერი და ოთხი წლის გერდი. შვიდი წლის ბავშვი დედას ეხმარება. ხოლო დედა კიდევ ბავშვს ელის.

სურათზე: ქოხი, რომელსაც თავი შეაფარა ბორგასის ოჯახმა.

ცენტრალბილდ-საკდესის ფოტო.

აფეთქება და მუქარა არწყდება

პარიზი, 8 იანვარი. (საკდესი). დღეს ღამით დიდი ბომბის აფეთქებამ პარიზის ცენტრში დაანიანა სახლი, რომელშიც ცხოვრობს ცნობილი ფრანგი მწერალი ჟან-პოლ სარტრი. ბედნიერი შემთხვევის გამო არც მწერალი, არც მისი დედა, რომელიც მასთან ცხოვრობს, სახლში არ იყვნენ. ჟან-პოლ სარტრის ბინა ძლიერ დანგრეულია.

ეს „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის“ ფაშისტური არამზადების მორიგი თავდასხმაა ჟან-პოლ სარტრზე, რომელიც ალჟირიის ომის კულონიური ომის განგრძობის წინააღმდეგ და ალჟირის რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან მოლაპარაკებისათვის.

„საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის“ „ულტრები“ სარგებლობენ დაუსჯელობითა და ხელისუფალთა პირდაპირი ხელშეწყობით, და სულ უფრო თავხედურ მოქმედებას მიმართავენ. გუშინ დილით მე-5 ინჟინერული ასეულის საწყობიდან (სატრი, ვერსალის შახლობლად) „უცნობმა პირებმა“ მოიპარეს ოთხი ტყვიამფრქვევი და 15 ავტომატი. ასეულის სარდლობამ განგაში აატეხა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ „უცნობი პირების“ მიერ დატოვებული ხელმოწერა ყალბი იყო.

როგორც აქ გამოირკვა, „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაცია“ აპირებს უახლოეს ხანში გადაიყვანოს ბელგიიდან საფრანგეთის ტერიტორიაზე თავისი „დამკვრელი ჯგუფის“ მნიშვნელოვანი რიცხვი...

პარიზი, 8 იანვარი. (საკდესი). ალჟირში თავდასხმის შედეგად გუშინ დახოცილია 15 კაცი და დაჭრილია 32 კაცი.

ფრანს პრესის საგაგენტოს კორესპონდენტი ტერორის შესახებ ალჟირში და აღნიშნავს, რომ ყველაზე დიდი ინციდენტი გუშინ იყო სატვირთო მანქანით ჩამოსული „უცნობი“ შეიარაღებული ადამიანების მთელი ჯგუფის თავდასხმა არაბთა სასტუმროზე. სროლის დროს მოკლეს ერთი კაცი და დაჭრეს 10. სატვირთო მანქანით ჩამოსულმა ადამიანებმა დაუსჯელად დატოვეს შემთხვევის ადგილი და მათი კვალი დღემდე არ არის ნაპოვნი.

გუშინ აგრეთვე „საიდუმლო შეიარაღებულმა ორგანიზაციამ“ დაარღვია ალჟირის რადიომაუწყებლობის ჩვეულებრივი გადაცემები და მოაწყო თავისი გადაცემა.

მზადდება ახალი დანაშაული

პარიზი, 8 იანვარი. (საკდესი). „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის“ ფაშისტი არამზადები ახალ დანაშაულს ამზადებენ. როგორც ფრანს პრესის საგაგენტო იუწყება, საიდუმლო შეიარაღებულმა ორგანიზაციამ განაცხადა, რომ აპირებს მოკლას საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი საფრანგეთის მთავრობის ყოფილი მინისტრი მარსელ პოლი, რომელიც ახლა ელექტროენერგეტიკული, ატომური და გაზის მრეწველობის მუშაკთა ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანია.

ეროვნულმა ფედერაციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მოუწოდებს ელექტროენერგეტიკისა და გაზის მრეწველობის ყველა მუშას მოაწყონ კრებები მუშაობის ადგილზე, რათა კონტაქტი დამყარდეს პროფკავშირებთან და ანტიფაშისტურ ორგანიზაციებთან.

ალი ვინ ძარცვავს ჩილის

ბუენოსი, 9 იანვარი. (საკდესი). როგორც პრენსა ლატინას საგაგენტოს კორესპონდენტი იუწყება სანტ-იაგოდან (ჩილი), ჩილის კომუნისტური პარტიის პოლიტიკურმა კომისიამ გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელიც ამხილებს ჩრდილოეთ ამერიკის მონოპოლიების მძარცველურ საქმიანობას ჩილეში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მარტო 1960 წელს ამერიკის შეერთებული შტატების იმ მონოპოლიათა მოგება, რომლებიც ჩილეში მოქმედებენ, შეადგენდა 225 მილიონ დოლარს, ხოლო 1951 წლიდან 1960 წლამდე — 1.554 მილიონ დოლარს.

პოლიტიკური კომისია აცხადებს, რომ ამერიკის მონოპოლიების მიერ ჩილის ბუნებრივი სიმდიდრის ძარცვა იმის მთავარი მიზეზია, რომ ჩილი ამჟამად მძიმე ეკონომიურ და ფინანსურ მდგომარეობას განიცდის. ამ უკანასკნელ წლებში ჩილეში კატასტროფულად მცირე ცვალუტის მარაგი. 1960 წელს იგი შემცირდა 4,5 მილიონი დოლარით, ხოლო 1961 წლის პირველი 11 თვის განმავლობაში — 130 მილიონი დოლარით. საგარეო ვალი 770 მილიონ დოლარს უდრის.

დოკუმენტი შეიცავს მოწოდებას ჩილის ხალხისადმი იბრძოლოს სოციალისტურ ქვეყნებთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებისათვის, ვალების დაფარვის ვადების გადაწევისა და იმისათვის, რომ ლიკვიდირებულ იქნეს შეთანხმებანი ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიებთან.

თავდასხმა სუკარნოზე

ჯაკარტა, 8 იანვარი. (საკდესი). როგორც ანტარას საგაგენტო იუწყება მაკასარიდან, 7 იანვარს საღამოს აქ მოხდა თავდასხმა ინდონეზიის პრეზიდენტ სუკარნოზე იმ მომენტში, როცა იგი და მისი თანმხლები პირები მანქანით შედიოდნენ ადგილობრივ სტადიონზე, სადაც მიტინგი უნდა გამართულიყო.

მაკასარის სამხედრო ოლქის სარდლობამ გამოაცხადა, რომ უცნობმა პირმა ხელყუმბარა ესროლა პრეზიდენტის მიმავალ მანქანას. ხელყუმბარა ავტომანქანის ახლოს აფეთქდა, მაგრამ თვით პრეზიდენტი არ დაშავებულა. პრეზიდენტის შემხვედრთაგან დაჭრილია 31 კაცი, მათგან 3 კაცი გარდაიცვალა ჭრილობებისაგან. თავდასხმასთან დაკავშირებით დაპატიმრეს რამდენიმე კაცი.

სამხედრო ოლქის სარდლობის წარმომადგენელმა პოლკოვნიკმა ჰასანუდინმა დღეს დილით ამ ინციდენტის შესახებ აცნობა ადგილობრივ და უცხოელ ჟურნალისტებს. მან გამოთქვა აზრი, რომ ხელყუმბარა ესროლეს იმ მიზნით, რომ გასტეხონ ხალხის მისწრაფება იბრძოლოს ჰოლანდიის კოლონიური მმართველობის წინააღმდეგ დასავლეთ ირიანში. (პრეზიდენტი მოგზაურობს სპეციალურად იმისათვის, რომ განუმარტოს მოსახლეობას ამ განმათავისუფლებელი კომპანიის მნიშვნელობა. ანტარას საგაგენტოს შენიშვნა). თავდასხმა, განაცხადა პოლკოვნიკმა, ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ იმპერიალისტები და კოლონიზატორები არავითარ მეთოდს არ თაკილობენ...

ინდონეზიის პრეზიდენტის გამოსვლა

ჯაკარტა, 9 იანვარი. (საკდესი). კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის ხანა მთავრდება, ახლა დადგა ეზოის, აფრიკის ქვეყნებისა და სოციალიზმის ქვეყნების ხანა. სოციალისტურმა ქვეყნებმა არა მარტო შეცვალეს მსოფლიოს რუკა, მათ შეცვალეს საზოგადოების სტრუქტურა, ისინი აშენებენ ბედნიერ ცხოვრებას, განაცხადა ინდონეზიის პრეზიდენტმა სუკარნომ 7 იანვარს მასობრივ მიტინგზე მაკასარში. თავის სიტყვაში პრეზიდენტმა ამხილა ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრის ლუნსის მტკიცება, რომ ჰოლანდიას თითქოს განზრახული აქვს თვითგამორკვევის უფლება მიანიჭოს დასავლეთ ირიანის მოსახლეობას.

დაქირავებულნი მიდიან კატანგაში

პარიზი, 9 იანვარი. (საკდესი). საზოგადოებრიობის ზემოქმედებით საფრანგეთის ხელისუფალნი იძულებული გახდნენ, ბოლოს და ბოლოს, აღიკვეთათ კონგოელი ხალხის მოღალატის ჩომბესთვის დაქირავებულთა შემგროვებელი სპეციალური კონტროლის სასკანდალო საქმიანობა ტულუზაში.

ამ კანტორას, რომელიც მოთავსებული იყო სასტუმრო „ტერმინიუსის“ ერთ-ერთ ნომერში, მეთაურობდა ვინმე პოლრობანიანი, ყოფილი პარაშუტისტი ოფიცერი, რომელიც არმიიდან გაადევნეს ალჟირის სამხედრო ფაშისტურ პუტჩში მონაწილეობისათვის 1960 წლის იანვარში. რობანიანი მოკმედებდა ფილიპის გვარით.

შემგროვებელი ცენტრის არსებობის სამი კვირის განმავლობაში ამ ცენტრში გაიარა ათობით ყოფილმა პარაშუტისტმა და უცხოელთა ლეგიონის წევრმა, რომლებსაც სოლოდური „შეადგენენ“ აქვთ ინდოჩინეთსა და ალჟირში ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის საქმეში. ტულუზაში შეგროვებულ პირებს 25-30 კაცისაგან შემდგარ ჯგუფებად თვითმფრინავით გზავნიდნენ პარიზიდან როდეზიით კატანგაში.

რა სახსრებით აგროვებდა უსაქმოდ დარჩენილი პარაშუტისტი დაქირავებულებს ჩომბესთვის, თუ გავითვალისწინებთ, რომ თითოეულ მათგანს ეძლეოდა ყოველთვიური გასამრჯელო 1970-დან 2190-მდე ახალი ფრანგული ფრანკი?

როგორც ახლა გამოირკვა, რობანიანის კანტორას ავიანსებდა ერთ-ერთი ბელგიელი მრეწველი, რომელიც ცხოვრობს ნამიურში № 3 სახლში დე შაპელიეს ქუჩაზე. ამ ბელგიელმა კოლონიზატორმა თავის აგენტს ტულუზაში გადუხადა 400.000 ახალი ფრანგული ფრანკი.

პოლიციის მიერ რობანიოლის დაპატიმრების მომენტში იგი შამპანურს სვამდა თავის ერთ-ერთ თანამონაწილე ქალთან ერთად ექვსი დაქირავებულის შეგროვების აღსანიშნავად. გაზეთ „მონდის“ კორესპონდენტის მონაცემებით, რობანიანის დაპატიმრების დღეს ტულუზაში შეგროვებული 250 დაქირავებული მზად იყო კატანგაში გასაფრენად...

ფაშისტური გამოხდომა

რომი, 8 იანვარი. (საკდესი). ფაშისტმა თავდამსხმელებმა ბომბი ჩამოაგდეს იტალიის კომუნისტური პარტიის ფედერაციის შენობაში ქალაქ ლუკაში. ბომბის აფეთქებამ მატერიალური ზარალი მიაყენა შენობას. ქალაქის მოსახლეობა აღფოთებულია ამ თავდასხმით.

კომპარტიის ფედერაციის სამდივნომ, იუწყება გაზეთი „უნიტა“, გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მოითხოვს მოეწყოს „ფართო და დაუყოვნებლივი ერთობლივი მოქმედება ფაშისტთა წინააღმდეგ“.



ინგლისელი ყოველ 140 მცხოვრებზე

ანკარა, 9 იანვარი. (საკდესი). ნგოდინდიგმეტი ხელისუფლება, რომლებიც აძლიერებენ რეპრესიებს ხალხის წინააღმდეგ, წელს პოლიციის სამსახურისათვის საგრანტი გაიღეს 304.432.000 პიასტრი, მაშინ როცა დაწყებითი განათლებისათვის მათ გადიდეს მხოლოდ 71.454.000 პიასტრი. საგრანტიდან მიღებული ცნობებით, აღნიშნავს ვიეტნამის საინფორმაციო საგაგენტო, სამხრეთ ვიეტნამში ყოველ 140 მცხოვრებზე მოდის ერთი პოლიციელი.

კლეი გრუნდეგა დასავლეთ ბერლინში

ნიუ-იორკი, 9 იანვარი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგაგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი გენერალი კლეი 9 იანვარს მიფრინავს დასავლეთ ბერლინში. ვაშინგტონში საკონსულტაციოდ ჩამოსული კლეი შეხვდა პრეზიდენტ კენედისა და სახელმწიფო მდივანს რასკს. როგორც კორესპონდენტი იუწყება, კლეისთან შეხვედრის შემდეგ გაკეთებულ განცხადებაში კენედიმ აღნიშნა, რომ მან და გენერალმა განიხილეს „შესაძლო კრიტიკული სიტუაციების ეფექტიანი გადაჭრის“ პრობლემა და რომ ამ პრობლემის გამო მასსა და გენერალს შორის მოლაპარაკება „სრული თანხმობა“. კენედიმ ოფიციალურად დაადასტურა აგრეთვე, რომ გენერალი კლეი იქნება „უფროსი ამერიკელი ბერლინში“.

ტელეგრაფი გვაცყობინებს

☐ **ტოკიოში** დაიწყო იაპონია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება სსრ კავშირსა და იაპონიას შორის 1962 წლის საქონელბრუნვის შეთანხმების შესახებ.

☐ **ანკარაში** ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და თურქეთის სავაჭრო და საგადამხდელო შეთანხმების ოქმს, რომელიც ითვალისწინებს საქონელბრუნვის მოცულობის გადიდებას ამ ქვეყნებს შორის. სსრ კავშირი მიაწვდის სხვადასხვა მანქანასა და მოწყობილობას, ავტომობილებს, ტრაქტორებს, მავი ლითონებს ნაგლინსა და სხვას. თურქეთში სსრ კავშირი შეისყიდის ხმელ ხილს, თამბაქოს, მატყლს, ტყავნედლეულს, ცოცხალ პირუტყვს, ბამბასა და სხვა საქონელს.

☐ **ბუქარესტში** დაიხურა მხატვრული ფოტოგრაფიის მესამე საერთაშორისო გამოფენა. წარმოდგენილი იყო ნამუშევრები 45 ქვეყნიდან, მათ შორის საბჭოთა კავშირიდან. ჟიურიმ მიაკუთვნა რამდენიმე პირველი პრემია. ერთი მათგანი მიიღო მხატვრული ფოტოგრაფიის საბჭოთა ოსტატმა ბ. ნ. რომანოვმა.

☐ **თვალსაჩინო** საბჭოთა მეცნიერმა ა. შტერნფელდმა პოლონური ჟურნალის „ვეკა ი ტეხნიკას“ სახელზე გაგზავნა სსრ კავშირში გაკეთებული მთვარის გლობუსი. ჟურნალის რედაქციამ გადაწყვიტა ეს საჩუქარი გადასცეს ვარშავის ტექნიკის მუზეუმს, სადაც უახლოეს დროში მას ნახავენ პოლონეთის დედაქალაქის მცხოვრებნი.

☐ **პოლონეთის** შაქრის მრეწველობამ დიდი წარმატება მოიპოვა — გასული წლის შაქრის ჭარხლის მოსავლიდან უკვე წარმოებულია 1.400 ათასი ტონა შაქარი. ეს უფრო მეტია, ვიდრე გასულ წელს, როცა მიღწეული იყო შაქრის რეკორდული წარმოება მრეწველობის ამ დარგის მთელი ისტორიის მანძილზე.

☐ **უტარ პრადეშის** შტატში (ინდოეთი) 1961 წლის 17-24 დეკემბრის პერიოდში მკვეთრი აცივების შედეგად სიცივისაგან დაიღუპა 446 კაცი. ამავე პერიოდში გაიყინა 27.839 სული პირუტყვი. (საკდესი).

სპილოს ძვლის ნაპირის რესპუბლიკის ეკონომიკაში დიდი ადგილი უჭირავს სატყეო მეურნეობას. ხე-ტყის მასალები საზღვარგარეთ გააქვთ.

სურათზე: ევროპაში გასაგზავნად მომზადებული წითელი ხის საწყობში.

ფოტო მ. ბაშარინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ვის წინააღმდეგ მუშაობს დრო?

ახალი წლის დადგომამ ჩაფიქრების საბაბი მისცა დასავლეთის სახელმწიფო მოღვაწეებს, ჟურნალისტებს, და პოლიტიკოსებს. ზოგი, მაგალითად, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი შეფი ალენ დალესი, მუშტს იქნევს ჩხუბის შემდეგ, ითვლის, სახელდობრ რომელ დღეს უნდა დაწყებულიყო ინტერვენცია კუბის წინააღმდეგ, რომ იგი არ დამთავრებულიყო ასეთი სკანდალური ფიასკოთი. ზოგი საქმიანად ითვლის გალურჯებულ ადგილებსა და კოპებს, რომლებიც 1961 წელს მიიღეს ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსისათვის“ 1961 წლის სამმოდელა „ელდელი ბერლინში“, „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცისფერი ჯასკები კონგოში“ და „ანტიკოლონიალიზმის დროშები“ ყველგან მსოფლიოში. გაზეთმა არც კი იცის, თუ რა აღარ მოსწონს და რა ახასიათებს მეტად „დასავლეთის ძლიერებისა და გავლენის განუხრელ ძირგამოთხრას“. სინამდვილეში, ბერლინის კედელს — რამდენიც უნდა იხმაურონ, ვერაფერს უზამ, გარდა იმისა, რომ შუბლს შეატეხ. მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია! გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც თხუთმეტი წლის განმავლობაში ამერიკის იმპერიალისტური პოლიტიკის დასაყრდენი იყო! რატომ მუშაობს შეფერხებით ის ოდესაც გამგონე და საიმედო „კენჭისყრის მანქანა“, რომელიც შტამპავდა ყოველგვარ გადაწყვეტილებას, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს ეამებოდა?

„დასავლეთი, — წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, — შიშს განიცდის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე იმის გამო, რომ იზრდება აფრიკა-აზიისა და კომუნისტური ბლოკების ძლიერება“, რომლებსაც სულ უფრო მეტი შესაძლებლობა ეძლევათ მოიწონონ ის, რასაც გაზეთი უწოდებს „საომარ მოქმედებას კოლონიალიზმის წინააღმდეგ“. ცხადია, თუ რას ეხება საქმე. ვაშინგტონში, ისევე, როგორც, სხვათა შორის, პარიზსა და ლონდონში, დღემდე ვერ მოუნელებიათ საჩუქარი, რომელიც ახალი წლის წინ მიიღო პორტუგალიამ, — ინდოეთის მიერ გოას განთავისუფლება. დასავლეთის პრესის ფურცლებზე უხვად იბეჭდება წყევლა-კრეფვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიმართ და იმისათვის, რომ იგი აწარმოებს „აგრესიულ მოქმედებას“ კატანგაში — კოლონიალიზმის ამ სალოცავში. ცნობილი ფრანგი რეაქციონერი ჟურნალისტი რაიმონ კარტიე, რომელსაც სძულს ყოველგვარი პროგრესი მეტად, ვიდრე განსვენებულ დალესს, ამასთან დაკავშირებით უკვე დასტირის გაერთიანებული ერების ორგანიზაციას როგორც განსვენებულს. რა თქმა უნდა რაიმონ კარტიესთან სოლიდარულია ფრანკო. გამოვიდა რა მადრიდის რადიოთი და ტელევიზიით ახალი წლის გამო, ესპანელი „კაუდილიო“ წუხდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გახდა „საბჭოთა პოლიტიკის იარაღი“, რადგან ვერ შეძლო დაეცვა მისი მეგობრის სალაზარის „უფლებანი“... თვითონ სალაზარმა კი, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მიაჩნია „არა მარტო უსარგებლო, არამედ მავნე ორგანიზაციადაც“, განაცხადა, რომ აპირებს გავიდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან. ასეთი მოწოდებანი, უნდა ითქვას, გაისმის ახლა არა მარტო პორტუგალიაში, არამედ საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

შეფასება, რომელსაც აძლევენ დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობას ყველა ჯურის ბნელეთის მოციქულნი, რა თქმა უნდა, მეტად გაზვიადებულია. მაგრამ იგი ასახავს იმ შეშფოთებას, რომელიც კაპიტალისტურ სამყაროში არის გამეფებული, 1961 წელი, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების დიად წარმატებათა წელი, პირველი კოსმოსური გაფრენების, სკკპ XXII ყრილობის წელი, რომელმაც ხალხებს გაუნათა მომავლის გზა, შავბნელი წელი იყო იმპერიალისტური სამყაროსათვის. ოცნება იმაზე, რომ „ბუმბერაზი ჯეკი“ ალადგენს მთელი მსოფლიოს რწმენას „ამერიკული იდეალისადმი“ და ქვეყნებს, რომლებიც ახლა დამოუკიდებლობას იღებენ, შეაკავშირებს ამერიკული „თავისუფლების“ დროშის გარშემო, გაიფანტა, აღიარებს ამერიკის პრესა. „ოცნებანი, — წერს იგივე „ნიუ-იორკ ტაიმსი“, — ძირითადად სწორად ოცნება აღმოჩნდა“...

დასავლეთელი პოლიტიკოსები, რომლებიც გასულ წელს უწოდებენ „იმედგაცრუების წელს“ (საფრანგეთის „კომბა“), ამტკიცებენ, რომ ამ წელს „თითქმის ყველაფერი ისე როდი მიდიოდა, როგორც საჭიროა“ (ინგლისის „ტაიმ ენდ ტაიდი“) ამავე დროს ცდილობენ თვალი გადაავლონ ახალ წელს. ამერიკის პრესა კითხულობს: როგორი იქნება 1962 წელის „დღის წესრიგი“? არის თუ არა რაიმე იმედი, რომ ახალ წელს დასავლეთის საქმეები გამოსწორდება? იგივე „ტაიმ ენდ ტაიდი“ ამ კითხვას უპასუხებს მეტად ბატონვად. სავსებით შესაძლოა, წერს ჟურნალი, როცა გავიგებთ, თუ რა არის 1962 წელი, დავიწყებთ ფიქრს, რა მშვენიერი იყო 1961...

აღნიშნულმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ თავის კორესპონდენტებს სხვადასხვა ქვეყანაში დაავალა გამოარკვიონ, როგორი განწყობილებაა კაპიტალისტურ სამყაროში ახალი წლისათვის. ანკეტის შედეგები მძიმე აღმოჩნდა. ლონდონში „მოუსვენარი შეშფოთებული მდგომარეობა კონტრასტულია მატერიალურ კეთილდღეობასა და პოლიტიკურ თვითკმაყოფილებასთან“. საფრანგეთში ვითარება იმდენად მოუსვენარია, რომ 1962 წელს ყოველი დღე შეიძლება საბედისწერო გახდეს საფრანგეთის წარმავალი დემოკრატიის ნაშთებისათვის.

ერთი მაღალი თანამდებობის ფრანგს, წერს გაზეთი, „გამზადებული აქვს ჩემოდანი იმ შემთხვევისათვის, თუ მოუხდება განშორდეს თავის სამშობლოს, ოჯახსა და ქვეყანას და კვლავ ეძებოს თავშესაფარი ინგლისში“. მეორემ, რომელიც, როგორც ჩანს ბურჟუას „წერტილამდე“ მივიდა, „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტს უთხრა: „ვერ ავიტანთ ამას ერთხელ კიდევ. თუ ჩვენში დაიწყება საწინააღმდეგო მრწამსთა ორომტრიალი და სამოქალაქო ქაოსი, არ ვიცი, რას ვიზამ... ჩვენ ბეწვზე ვკიდივართ კატასტროფისაგან“...

არ შეიძლება ითქვას, რომ განწყობილება საფრანგეთში გაუთბობესა დე გოლის საახალწლო წერილმა არმიისადმი. გენერალმა დასახა ორი ამოცანა 1962 წლისათვის: გაგრძელდეს ალჟირის „დაშოშმინება“ და „უმთავრესად მზადება ევროპაში საომარი ხასიათის დიდი მოქმედებისათვის“. ასეთ პერსპექტივებს შეუძლიათ გაახარონ მხოლოდ „ულტრა“ ფაშისტები, რომლებიც დე გოლის სავარძლის უკან დგანან ისევე, როგორც ოდესღაც პიტლერელები იდგნენ ჰინდენბურგის სავარძლის უკან.

კაპიტალისტური სამყაროს წამყვანი ქვეყნის — ამერიკის შეერთებული შტატების განწყობილებაზე უკვე ვილაპარაკეთ. ყველაზე უკეთ, უნდა ითქვას, ეს გამოხატა სახელმწიფო მდგომარეობა დინ რასკმა საუბარში ამერიკის ისტორიულ ასოციაციაში. „აქვს თუ არა, დასვა კითხვა ბ-ნმა რასკმა, — ჩვენს დემოკრატიას, რომელიც კომფორტს უზრუნველყოფს, მამაცობა და ნებისყოფა დაიცვას თავისი ძირითადი ინტერესები და თავისუფლების მიჯნები პოტენციური მტრების წინაშე, რომლებსაც ატომური იარაღი აქვთ და შეუძლიათ გამოგზავნონ ეგი ჩვენს ქვეყანაში“?

თუმცა მისტერ რასკი აქ თავდაყირა აყენებს ზოგიერთ პრობლემას, მან აღძრა საკითხი, რომელიც ნამდვილად გულის სიღრმემდე აღელვებს ამერიკისა და ყოველ სხვა ბურჟუაზიას: შეუძლია თუ არა ამერიკას, რომელმაც აკოშური მონოშოლია დაპკარგა, დაიცვას კაპიტალისტური „წყობილება, ეგრეთწოდებული „თავისუფალი სამყაროს“ მიჯნები, რომელიც ისტორიის შემოტევის გამო დაინგრა? თვითონ რასკი და მისი უფროსები თეთრ სახლში, რომლებიც ამაოდ ცდილობენ უპასუხონ ამ კითხვაზე, იბტიბარს არ იტეხენ, მიმდინარე წლის მოვლენებმა გვი

ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲔᲜ ᲛᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲜᲘ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

„ᲖᲚᲕᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ“ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ თეატრი ერთიანად გაჩირაღდნებული, აღფრენებული და ამღერებული უნდა იყოს თანამედროვეობით. მაყურებელი თეატრში უნდა პოულობდეს თავისი გულის პასუხს. მას უნდა იფიქრებდეს, აღელვებდეს, არკვევდეს და ამოქმედებდეს სცენიდან ნთქვამი ქმედითი სიტყვა. თეატრი ადამიანს უნდა ამდიდრებდეს იდეურად, ამაღლებდეს ზნეობრივად, სრულყოფდეს სულიერად. საბჭოთა საზოგადოებრიობა დაინტერესებულია პიროვნების ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარებით, მოზარდი თაობის კომუნიზმის მშენებელ თაობად აღზრდით, სწორი წარმართვით.

სცენიდან წარმოთქმულ ყოველ სიტყვაში მხატვრულად, სრული აღმაფრენით უნდა აისახოს ცხოვრებისეული სიმართლე. დაე სიამაყის გრძნობით, რომანტიული ზეაღფრენილობით, შთამაგონებლად ჩანდეს სცენიდან ახალი სამყაროს მშენებლის სულიერი მშვენიერება; დაე შეურიგებელი სიძაცრით, საზოგადოებრივი გაკიცხვის მთელი სიმწვავით იყოს მხილებული ყოველივე, რაც საზრაგადოებრივი წინსვლის შემფერხებელია, სიცილის გამანადგურებელ ქარცეცხლში მოექცეს ადამიანის შეგნებასა და ყოფაქცევაში წარსულის გადმონაშთებად შემორჩენილი სიმახინჯე.

ჩვენ გვინდა, რომ ცხოვრების ასახვაში კულტურის პროგრესული ტრადიციების გამოყენებასა და განვითარებასთან შერწყმულმა ახლის ძიებამ თეატრშიც მძლავრად გაშალოს ფრთები. ხელოვნების მუშაკებს შემოქმედებითად ფხაზსნეული თაოსნობის, სრულყოფამდე აზიდული ოსტატობის გამოსაჩენად ვრცელი სარბიელი აქვთ. ჩვენ თეატრებისაგან მოველით ფორმის, სტილისა და ჟანრის მრავალფეროვნებით გახალასებული სცენური შემოქმედების ოპტიმისტურ ჟღერადობას...

როგორია ამ თვალსაზრისით რუსთაველის სახელობის თეატრის ახალი დადგმა?

მწერალმა **გიორგი ხუხაშვილმა** ქართულ თეატრს შესძინა თანამედროვეობის სულით აღსავსე პიესა **„ზღვის შვილები“**. ამ სცენურ ნაწარმოებში აღძრულია მოზარდი თაობის წრთობის უმნიშვნელოვანესი საკითხი, ზნეობრივი საწყისებისათვის ზრუნვის მნიშვნელობა, მამების მაგალითის აღმზრდელობითი ძალა შვილებისათვის. ავტორის მიღწეულია ის არის, რომ იგი არ კმაყოფილდება ფეხის და კარგის მარტივი დაპირისპირებით. იგი ხსნის ხასიათებს და არკვევს მათი ავ-კარგიანობის სირთულეს. მოქმედი პირები მძაფრ დრამატულ ურთიერთობაში იზრდებიან, რაც მთავარია, პიესა დადებითი საწყისების უპირატესობის გრძნობით არის გამთლიანებული.

„ზღვის შვილები“ რამდენადმე ფრაგმენტული, კადრებად დაქუცმაცებული ნაწარმოებია, მაგრამ მაინც დინამიურია და მთლიანობის წვდომაც იგრძნობა. ავტორი უჭკუსლით სიუჟეტის განვითარების ხერხსაც მიმართავს და იმდენად მარჯვედ, რომ ხერხი ნამდვილად მიზანს ემსახურება და ამდენად გამართლებულია. ავტორი სიუჟეტის გამართვაში საკმაოდ დახელოვნებულია. ვუსურვოთ დრამატურგს, რომ მომავალში მხატვრულ სახიერებას უფრო მეტი მასშტაბი მოუპოვოს და არ დაკმაყოფილდეს მცირედით, მსგავსად ზღვის ფსკერზე დაძრული კატარღის ამოღების ეპიზოდისა.

„ზღვის შვილების“ დადგმა რუსთაველის თეატრის სცენაზე მიხეილ თუმანიშვილმა განახორციელა. მან ამ წარმოდგენაშიც გვიჩვენა თავისი დაუცხრომელი ძიების სურვილი. რეჟისორი ამ მხრივ წარმატებასაც აღწევს და მარცხსაც განიცდის, მაგრამ მაინც ახლისკენ მისწრაფებულ შემოქმედად გვეგულება. „ზღვის შვილებში“ იგი ეძებს ახალი მასალის ახლებურად გახსნის ხერხებს; ამ წარმოდგენაშიც დედააზრის, მთავარის და არსებითის ხაზგასმით წინწამოწევა დამაჯერებლად და შთამაგონებლად არის განხორციელებული. მ. თუმანიშვილი სცენაზე ცხოვრებისეული სიმართლის ასახვის მხატვრულობას მტკიცეულად განიცდის, თავდადებით ებრძვის სიყალბეს, არაბუნებრივობას, მაგრამ ზოგჯერ სინამდვილე ყოფითობამდე დაჰყავს სცენაზე. ეს „ზღვის შვილებშიც“ ეგრძნება, როცა მსახიობი საკანდელიძე. მხატვრული მეტყველებიდან ყოფით მეტყველებამდე ეშვება. უმეტეს წილად მ. თუმანიშვილს ეშმარიტი რეჟისორული აღლო არ ღალატობს და ცხოვრების სამართლეს ის თეატრალობასთან შერწყმით ასახავს. ამიტომაც არის, რომ წარმოდგენა მაყურებლის მოწონებას იმსახურებს.

მ. თუმანიშვილის მიღწევაა, რომ დრამატურგის ჩანფიქრი და მსახიობების მიერ შესრულებული მთელი რიგი სა-

ტყვები მხატვრული ცხოველმყოფელობით აღიან გაცოცხლებული.

საქართველოს სახალხო არტისტის ეროსი მანჯგალაძის მიერ ხორცშესხმული მოხუცი ბოცო კალანდაძე იმ უკვდავი ხალხური ზნეობის გამომხატველია, რაც მრავალი საუკუნის მანძილზე შეიმუშავა ქართველმა ხალხმა სოციალური ჩაგვრის, ზნეობრივი მანკიერების წინააღმდეგ ბრძოლაში. მანჯგალაძე მოხუცი მეთევზის სახეს წარმოგვიდგენს მართლად, თბილად და სადად, გამომსახველობის კეთილშობილებით და სრული დამაჯერებლობით. მაყურებელთა წინაშე ცხოვრობს, მოქმედებს და იბრძვის კეთილი, ნამუსიანი კაცი, რომლის მამაშვილური სიყვარულის და სიმკაცრის კეთილშობილურ ძალას მსახიობი თვალში ცრემლმორევით განგაცდევინებს. მსახიობის მიერ განსახიერებული ბოცოს სახე შთამაგონებელია, დიდია მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი უპირველესი ღირსებაა ზომიერება, რაც კოტე მახარაძეს საკმაოდ გააჩნია. ზომიერება ან, როგორც ილია იტყოდა, უმტანაკლები აღსრულება როლისა, მახარაძის თვისებაა. მისი მეზღვეური გურამი ზნეობრივი სისპეტაკის, სამშობლოსადმი თაყვანდების, ქალისადმი წრფელი, მოკრძალებული დამოკიდებულების გამომსახველია. თავისი ცხოვრების მაგალითით გურამი ზრდის და აწრთობს გვერდით მყოფ გზააცდენილ ამხანაგებსაც. სამამული ომში გმირულად დაღუპვის შემდეგაც გურამის ნათელი სახე გზას უნათებს მომავალ თაობას. კოტე მახარაძემ თავისი გმირის გამომხატვისას იპოვნა გარეგნული გამომსახველობის ზუსტად დამახასიათებელი კილო — მოუქნელი მოძრაობა, რამდენადმე მოუხეშავი, მაგრამ თანაც ეაქკაცური კეთილშობილებით აღსავსე; ჩუმი და მოკრძალებული, აუჩქარებელი და მშვიდი კაცის გარეგნული სახიერება მსახიობმა გაანათა. განცდის სიწრფელით, ზნეობრივი მანკიერებისადმი შეურიგებლობით, მკაცრი მომთხოვნელობით, როცა საქმე საზოგადოებრივ მოვალეობას ეხება.

მსახიობი ს. ლაღიძე (უმცროსი გურამი) უშუალობით, ახალგაზრდული სიხალისით და სიწრფელით გვიხატავს ჩვენი დროის ახალგაზრდა ადამიანს კაცურ-კაცობას, მის დაუცხრომელ მისწრაფებას თავის არსებაში ზარდოს. ახალი ქვეყნის მშენებლის თვისებები. მარჯვედ არის მინიშნებული და განხორციელებული უმცროსი გურამის ხასიათის მსგავსება მამაპაპეულ ბუნებასთან.

სახალხო არტისტის მედეა ჩახავას მიერ შექმნილი ლელის სახე მადლმოსილია მშრომელი ქალის ზნეობრივი სიფაქიზით, მეუღლისა და დედის მოვალეობის ღრმა შეგნებით.

ბ. კვერენჩხილაძის ნიჭის თავისებურება კვლავ მოშხიბვლელი ძალით გამოჩნდა იქ, სადაც მზიას როლი სულის და გულის ძვრაზეა აგებული. მნახველს მეხსიერებაში ჩარჩება სატრფიალო სცენა, როდესაც მზია გურამს გაურბის ცრემლნარევი სიტყვებით: „ჯიუტი და უცნაური ხარ, დათვი, ნამდვილი დათვი!“. დასანანებელია, რომ ასეთი შესაძლებლობა მსახიობისათვის მხოლოდ ერთხელ და ხანმოკლედ არის მოცემული ამ როლით.

გიორგი გეგეჭკორს ნაცადი ოსტატობით აქვს აწყობილი და გამართული ყახტანგ ნიკარაძის სახე. იგი ჩინებულად ართმევს თავს ერთ როლში ორგვარად — ახალგაზრდად და ხანშიშესულ კაცად გარდასახვის სირთულეს.

გურამ საღარაძე გვევლინება ნოდარის როლში როგორც ოსტატი, სახე კარგად არის გაზრებული, უშუალო და ბუნებრივია მისი განსახიერების კილო.

განსაკუთრებით დასაფასებელია ჯ. ღაღანიძის ელგუჯა სატირაკული განსახიერების სიმწვავით და შესრულების არტისტული ბრწყინვალეებით. კ. საკანდელიძე კი გამოირჩევა ხალისიანი განსახიერების კილოთი, მაგრამ გიგას როლის გაზრებითაც და შესრულების თავისებურებითაც ამ მსახიობს მეტი მოეთხოვება. შთამბეჭდავია შესრულების ცოცხალი და ხალისიანი კილოთი ნ. ჩაიძე ოთარის როლში. კარგად გაართვა ნიკო კაკაბაძის როლს თავი ქვარიანმა და მერაბ გეგეჭკორის შეცვლით ძალა არ მოაკლო სპექტაკლს. ალ. სიხარულიძემ (ელენე), ლ. ჭაკჭავაძემ (ლია), ლ. კაპანაძემ (ეთერი), ნ. მარგველაშვილმა (გოჩა), გ. გოგავამ (შოთა), ვ. ელომვილმა (ხემდი), ნ. ჯუღელმა (ირაკლი), გ. ჭიჭინაძემ (ილიანე), ო. ლომიძემ (ფოსტალიონი) და სხვებმა კოლექტიურობის სრული შეგნებით, ეპიზოდური როლებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობით წარმოდგენის წარმატება განამტკიცეს.

მხატვარი დიმიტრი თავაძე მოხერხებულად იყენებს პროექციას, ცდილობს სპროექციო კადრებით წარმოგვისახოს დეკორაციული გარემო და სრული ძალით შეინარჩუნოს მხატვრულობა, მაგრამ საეჭვოა, რომ დრამატულ თეატრში პროექციებმა შეძლონ ფერწერული და კონსტრუქციული დეკორაციების შეცვლა. წარმოდგენის დასაწყისისას იქნება აჯობებდა უმიზეზოდ ათვალწუნებული თეატრალური ფარდა გვეხილა და ალ კინოეკრანის გაუმართლებელი შემოკრა და უდიერი მოკალათება დრამატული თეატრის სცენაზე. თეატრს ნუ გავაღარიბებთ, ნუ მოვაკლებთ მას მხატვრის ფერმწერლობას და ნურც ცოცხალ მუსიკას შევცვლით მექანიკური ჩანაწერების გახმოვანებით.

მიუხედავად ასეთი ხასიათის ზოგი ნაკლისა, რუსთაველის თეატრის ეს წარმოდგენა თანამედროვე თემაზე დადგმული სპექტაკლებიდან ერთ-ერთი საუკეთესოა. ეუსურვოთ თეატრს კვლავაც მოიპოვოს თანამედროვე თემაზე სინამდვილის მეტი განზოგადებით მომცველი პიესები და შექმნას ნამდვილად მონუმენტური წარმოდგენები.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲯᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: სცენები სპექტაკლ „ზღვის შვილებიდან“. ზემოთ, მარცხნიდან მზია — ზ. კვერენჩხილაძე, ბოცო კალანდაძე — ე. მანჯგალაძე, გურამიშვილი — ს. ლაღიძე. ქვემოთ, ლელა — მ. ჩახავა, გურამი-მამა — კ. მახარაძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲞᲘᲐᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ პიანისტმა მარინე გოგლიძემ-მდივანმა 8 იანვარს სოლო კონცერტი გამართა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში. მუსიკალური საზოგადოება გულთბილად შეხვდა მარგარიტა ლონგისა და უკ ტიბოს სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატს.

მეტად რთული პროგრამით წარუდგა მარინე მუსიკალურ აუდიტორიას. პირველ განყოფილებაში შესრულებული იყო მოცარტის „№ 4 სონატა“ მიბემოლ-მაჟორი, მენდელსონის „ხერიოზული ვარიაციები“, სტრავინსკის სამნაწილიანი სონატა „ოცდაოთხიანი წლები“.

მეორე განყოფილება ლისტის სონატა სიმინორს დაეთმო. მსმენელთა თხოვნით მან დამატებით შეასრულა ბახის პრელუდია და ფუგა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: უკრავს მარინე გოგლიძე-მდივანი; ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

ფოტო ბ. დადვაძისა.



ᲛᲝᲑᲠᲐᲫᲐᲜᲓᲘᲗ, ᲛᲝᲒᲖᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲐᲜ

თუ გსურთ გამართოთ წვეულება, მაგრამ არა გაქვთ დრო, რომ ყველაფერი ოჯახში დაამზადოთ, ამ შემთხვევაში შეგიძლიათ ტელეფონით ან უშუალოდ ადგილზე მიმართოთ კულინარიისა და ნახევარფაბრიკატების დამამზადებელ ფაბრიკა-სამზარეულოს, რომელიც ამ დღეებში თბილისის კარლ მარქსის სახელობის მოედანზე გაიხსნა. აქ შეკვეთის მიხედვით დგამზადებენ ყველა სახის კერძს და საჭიროების შემთხვევაში ბინაზეც მოგიტანენ.

კულინარიისა და ნახევარფაბრიკატების ფაბრიკაში მზადდება ქართული ეროვნული, აღმოსავლური და ევროპული კერძები. ფაბრიკა დღეში 14 ტონა პროდუქციას უშვებს.

საწარმო, სადაც ასი კაცი მუშაობს, ძირითადად მექანიზებულია. აქ არის მძლავრი მაცივრები და კომპრესორები. ფაბრიკა ჯერჯერობით ემსახურება მტკვრის მარცხენა ნაპირის სასადილოების ტრესტის ყველა ობიექტს, ამავე ნაპირის კვებვაჭრობის ნახევარფაბრიკატების ყველა მაღაზიასა და სასაუზმეს. უახლოეს ხანში იგი გაფართოვდება და მოემსახურება მთელი ქალაქის საზოგადოებრივი კვების ობიექტებს.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ

ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲘᲜᲨᲘᲚᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘ�კᲘᲡ შეერთებულ შტატებში, კანადასა და ინგლისში — ქვეყნებში, სადაც ფართო მასშტაბით წარმოებს შინშილის მოშენება, ხშირად იხსენებენ ვლადისლავ ჟერსკის სახელს. პოლონელმა ნადირთმოშენებელმა, რომელიც კრაკოვის საკოეკოდეში ცხოვრობს, ამას წინათ გამოიყვანა ორი ჩალისფერი შინშილა-უნიკუმი.

პირველი ჩალისფერი ეგზემპლარი შინშილის დაბადება ჩემს ფერმაში უბრალო შემთხვევაა, — უამბო ჟერსკიმ პოლონეთის საგენტოს წარმომადგენელს. რაც შეეხება მეორე ეგზემპლარს, იგი მიზანმიმართული მუშაობის შედეგია. სელექციამ გენეტიკის კანონების საფუძველზე საშუალება მომცა შემერჩია სანაშენო მასალის ისეთი შემადგენლობა, რომ მალე მივიღე ისეთი ფერის და ისეთი მაღალი ხარისხის ბეწვის მქონე შინშილა, როგორიც დღემდე არ მიუღია არც ერთ არსებულ ნადირთმოსაშენებელ ფერმას. (საკდესი).

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲓᲦᲔᲡ ერევანში საზეიმოდ გაიხსნება სსრ კავშირის ქალთა XXI საჭადრაკო ჩემპიონატი. ეს იქნება ახალი სასპორტო სეზონის ერთ-ერთი ცენტრალური ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ნახევარფინალებში გამარჯვებულები — საერთაშორისო ოსტატები, ოსტატები, პირველთანრიგოსნები.

იმის გამო, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ე. ბიკოვა და ამ წოდების პრეტენდენტი ნ. გაფრინდაშვილი იწყებენ მზადებას მომავალი დიდი მატჩისათვის საკავშირო პირველობაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

ვინ შეეცილება ერთმანეთს ჩემპიონობას?

ესენი არიან საერთაშორისო ოსტატები — ჩვენი ქვეყნის გასული წლის ჩემპიონი ბორისენკო (სვერდლოვსკი), ზვორიკინა (მინსკი), ზატულოვსკაია (ბაქო), ვოლპერტი (ლენინგრადი), იგნატიევა (მოსკოვი), როოტარე (ტალინი), ოსტატები — კაკაბაძე (თბილისი), კუშნირი (მოსკოვი), სემიონოვა (ლენინგრადი), ტიხომიროვა (მოსკოვის ოლქი), ტოგონიძე (თბილისი), პირველთანრიგოსნები — ბიშარდი (ლენინგრადი), კაცკოვა (მოსკოვი), კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), ნახიმოვსკაია (რიგა), რანიკუ (ტალინი) და სხვ.

ჩემპიონატი ერთ თვეს გაგრძელდება. შეჯიბრების მთავარ მსაჯად დანიშნულია ა. აკოფიანი (ერევანი).

ᲑᲝᲢᲕᲘᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲔᲐᲜᲡᲘ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 8 იანვარი. (საკდესი). მსოფლიო ჩემპიონმა მიხეილ ბოტვინიკმა ჰასტინგსის ტურნირის დამთავრების შემდეგ მიიღო ლონდონის უნივერსიტეტის საჭადრაკო კლუბის მიწვევა მონაწილეობა მიეღო ერთდროული თამაშის სეანსში. ოცი მოჭადრაკე მიუსხდა მაგიდას, რათა შებრძოლებოდა სახელგანთქმულ გროსმაისტერს. ამ ტურნირის მონაწილეთა შორის იყვნენ ლონდონის ლორდმერი სერი ფრედერიკ ჰოარი, დიდი ბრიტანეთის ჩემპიონი ჯაბუკოა შორის დევიდ უელსი და სხვები.

ბოტვინიკმა მოიგო 12 პარტია, ყაიმით დაამთავრა შვიდი და წააგო ერთი პარტია კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტ უელსთან.

სეანსის დამთავრების შემდეგ კლუბის წევრებმა მჭუხარე ტაშით დაჯილდოვეს ბოტვინიკი.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

△ **ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ** ალპინისტური სეზონი საინტერესო იქნება. გარდა საკონკურსო ასვლებისა პამირზე და კავკასიონზე, მოეწყობა სხვადასხვა ლაშქრობები, ტრაკრესები უცხოელ და საბჭოთა მთამსვლელების ერთობლივი მონაწილეობით, სსრ კავშირის ალპინიზმის ფედერაციის მოწვევით წელს საბჭოთა კავშირში ჩამოვლენ იტალიის, იტალიის, შოტლანდიისა და სხვა ქვეყნების ალპინისტები. მაგალითად, ივლისში პამირზე ნავარაუდევია ასვლები უმაღლეს მწვეერვალებზე იბგლისის, შოტლანდიისა და საბჭოთა ალპინისტების მონაწილეობით. იტალია-საბჭოთა კავშირის მთამსვლელები ასვლებს მოაწყობენ კავკასიონზე და სხვ.

△ **ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲘᲨᲘ** დიდი ინტერესი გამოიწვია საერთაშორისო ასპარეზობამ თავისუფალ ჭიდაობაში ირანის, თურქეთისა და ბულგარეთის ნაკრებ გუნდებს შორის. ამ შეჯიბრებაში მასპინძლებმა აჩვენეს ჭიდაობის მაღალი ტექნიკა და 6 წონითს კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავეს.



ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ

ᲐᲗᲝᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲡᲐᲪᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

XVII საუკუნის ორმოცდაათიან წლებში რუსეთში დაიწყო თარგმნილი ქრისტიანული საეკლესიო ლიტერატურის ბერძნულ დედნებთან შედარება და ამ გზით შესწორებული ტექსტების სტამბური წესით ბეჭდვა. მაგრამ თავდაპირველად, როცა ბერძნული დედნები მოიძიეს რუსეთის პატრიარქის ბიბლიოთეკაში, ექვსი ხელნაწერის მეტი არ აღმოჩნდა. ამის გამო რუსეთის ისტორიაში კარგად ცნობილმა პატრიარქმა ნიკონმა გადაწყვიტა რუსი სპეციალისტის მიელინება საბერძნეთში ბერძნული წიგნების შესაძენად და ჩამოსატანად. ეს საქმე სამების მონასტრის თანამშრომელს ბერს არსენ სუხანოვს მიენდო. არსენ სუხანოვიც საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა მე-17 საუკუნის რუსეთის ისტორიაში, მაგრამ ამავე დროს იგი ნაწილობრივ საქართველოს თავგადასავალთან დაკავშირებული პიროვნებაა. სუხანოვი 1637-40 წლებში კახეთის სამეფოში მეფე თეიმურაზ პირველთან რუსეთიდან გამოგზავნილ ვოლკონსკის ელჩოს შემადგენლობაში ყოფილა, როგორც განსწავლული არქიდიაკონი, საქართველოს ეკლესიის შესამოწმებლად.

არსენ სუხანოვი მეორეჯერაც ყოფილა საქართველოში 1652 წელს, მაგრამ ამჯერად არა საგანგებო დავალებით. მას, იერუსალიმიდან სამშობლოში მიმავალს, შემახის ხანმა გზა არ მისცა როგორც რუსს. სუხანოვი თბილისში როსტომ მეფესთან გამოცხადებულა და შუამდგომლობა უთხოვია შემახის ხანთან, რათა ამ უკანასკნელს რუსეთის საზღვრებამდე მშვიდობით მიეყვანა იგი.

სუხანოვს თავის ამ მოგზაურობის აღწერილობაშიც შესანიშნავი ცნობები აქვს მოცემული საქართველოს შესახებ. შეიძლება ითქვას, მსგავს ცნობებს ვერსად შეხვდება მკვლევარი. სუხანოვის ცნობები ცალკე იქნება სათანადო თარგმანით და განმარტებებით გამოქვეყნებული. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ როსტომ მეფის შუამდგომლობის შედეგად სუხანოვი მშვიდობით მოსკოვში დაბრუნდა.

1654 წელს, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის პატრიარქმა არსენი საბერძნეთში მიავლინა. მას დავალებული ჰქონდა ათონის ნახევარკუნძულის მონასტრები მოეარა, წიგნები გაეცნიბა და შეეძინა. არსენს თან წაუღია რუსეთის პატრიარქის ნიკონის წერილობითი მიმართვები სხვადასხვა მონასტრის წინამძღვრების სახელზე, მათ შორის ქართველთა მონასტრის სახელზეც.

არსენ სუხანოვი ორ თვეს დარჩენილა ათონზე. ამ ხნის განმავლობაში იგი ბიბლიოთეკებს სინჯავდა, საჭირო წიგნებს არჩევდა და საკუთარი ხელით აწერდა, თუ რომელი მონასტრიდან იყო წიგნი შერჩეული. ქართველების მონასტრის წიგნსაცავიდან წამოღებულ წიგნებს აწერია „ტონ იბერონ ლავრას, არსენ“. არსენ სუხანოვს ათონზე არსებული მონასტრებიდან სულ 498 ბერძნული ხელნაწერი წიგნი შეუძენია და ჩაუტანია რუსეთში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სუხანოვს ყველაზე მეტი ხელნაწერი ქართველების მონასტრის ბიბლიოთეკიდან წამოღებია. ათონის მონასტრებიდან წამოღებული ხელნაწერები იქ არსებულ მონასტრებზე ასე ნაწილდება: 156, 61, 52, 43, 34, 33, 26, 18, 14, 9, 8, 6, 3, 2, 1. ეს ორმოცდა თექვსმეტი — ქართველების მონასტრიდან არის წამოღებული.

რით აიხსნება, რომ ათონის ქართველთა მონასტრის ხელმძღვანელობამ ამდენი ხელნაწერი გაიმეტა თავისი ბიბლიოთეკიდან და რუსეთის პატრიარქის წარმომადგენელს მიჰყიდა? ცნობილია, რომ მე-17 საუკუნეში, საქართველოს დაუძლურების შემდეგ, ქართველთა მონასტრები ყველგან ძმიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. იერუსალიმში, სრულიად უცერემონიოდ, თურქეთის ხელისუფალნი გარკვეული გასამჯელოს მიღების შემდეგ ქართველ ბერებს სდევნიდნენ და ქართულ მონასტრებს საფრანგეთის თუ სხვა სახელმწიფოს ბერებს მიუბოძებდნენ. არც ქართველი ბერები მიიღტვოდნენ ასეთ პირობებში იერუსალიმსა და სინას მთაზე. როგორი სურათი ნახა თვით არსენ სუხანოვმა 1652 წელს იერუსალიმში? ერთგან ის წერს: «..то место наперед держали ивери а ныне половину идеже лежал крест Христов, тут держат греки, а другую половину держат франки и на своем месте служат литургию».

სინას მთაზე მოგზაურობის დროს აკად. ნ. მარმა და მისმა მოწაფემ, მაშინ ახალგაზრდა ასპირანტმა ივ. ჯავახიშვილმა ერთი ქართული ხელნაწერის ცარიელ კაბადონზე ასეთი წარწერა იპოვნეს: „ვტოოვებთ სინას მთის მონასტერს ბერძნების ძალმომრეობის გამო. ძვირფასი ნივთები და ჭეშეული დამალულია ამა და ამ გამოქვაბულში, თუ ოდესმე ქართველი დაეპატრონებით მონასტერს, მოიხმარეთ“.

მაგრამ იერუსალიმს და სინას მთას მაშინ რუსეთი ვერ სწვდებოდა.

1652 წელს ათონიდან ქართველების მონასტრის არქიმანდრიტი კლიმენტი თავისი მხლებლებით მოსკოვში ჩასულა შეწერილების მისაღებად. მას ამავე დროს მეფისათვის აჯა-მოხსენებით მიუმართავს და უთხოვია, რომ მოსკოვის ერთ-ერთი მონასტერი ათონელი ქართველი ბერებისათვის გადაეცათ. პატრიარქ ნიკონის მხარდაჭერით 1653 წლის 21 იანვარს ათონელ ქართველებს მართლაც გადასცეს ნიკოლოზის სახელობის მონასტერი კრემლის მახლობლად. შემდეგში რუსეთში გამგზავრებული ქართველების თავშესაფარი ყოფილა ეს მონასტერი.

და როდესაც არსენ სუხანოვი წიგნების შესაძენად გაემგზავრა ათონზე, ბუნებრივია, რომ იქაური ქართველთა მონასტრის ხელმძღვანელებმა თავიანთი ბიბლიოთეკიდან ნიკონ პატრიარქის მოცალულს მნიშვნელოვანი რაოდენობით დაუმესენ წიგნები. რუსეთის პატრიარქის უყურადღება ათონელი ქართველებისადმი, მართალია, უბრალო ქველმოქმედება არ იყო, ამას პოლიტიკური შინაარსი ჰქონდა, მაგრამ იმ გაჭირვების უამს ყოველივე ეს დახმარება იყო.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ

□ **ᲢᲧᲣᲑᲣᲚᲘ.** (საკ. კორ.). ხრეშილის სასოფლო-სამეურნეო არტელი მექანიზებული საწარმოა. აქ მრავლად არის იარაღ-მანქანები და სატვირთო ავტომანქანები. ამას წინათ კოლმეურნეობამ შეიძინა ახალი ტრაქტორი და „მოსკვიჩის“ მარკის მსუბუქი ავტომანქანა.

□ **ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ.** (საკ. კორ.). სოფელ გორის ორ დიდ უბანს — თიმაძეებისას და დათუმიძეებისას სასმელი წყალი არა ქქონდათ. აქაურ მცხოვრებლებს წყლისათვის შორ მანძილზე უხდებოდათ წასვლა.

ეს საქმე კოლმეურნეობამ ითავეს და ამ დღეებში წყლის გაყვანა დამთავრდა. სოფლმა მთის ანკარა სასმელი წყალი მიიღო.

□ **ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘ.** (საკ. კორ.). მშვიდობიანის აგარაკზე მეტყევეები კაკლის ხეებს რგავდნენ. ორმოობის გათხრისას მიწის სიღრმეში ძვირფას განძს წააწყდნენ. ნაპოვნია ვერცხლის თასი, სპილენძის ქვაბი, ტაშტი და დოქი, ხანჯლის ქარქაში და სხვ.

მეცნიერი მუშაკები ამჟამად ამ ნივთების დათარიღებაზე მუშაობენ.

□ **ᲗᲔᲚᲐᲕᲘ.** (საკ. კორ.). აგარაკოვანი ცივ-გომბორის ჩრდილოეთ კალთაზე „ღარების“ თავში დიდი ტერიტორია გამოუყენებელი იყო. რაონის მშრომელებმა იგი ვარგისად აქციეს. 46 ჰექტარზე ხუთი ათასი ძირი კაკლის ხე დარგეს.

რედაქტორი

Დ. ᲛᲔᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

10 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — კარმენი (დღისით) ფიზელი (საღამოს). მე-12 აბონ. მე-6 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — ზღვის შვილები (დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (დღისით), ფეხბურთელები (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — ჩრდილოეთის მადონა (დღისით და საღამოს, მე-7 აბონ. მე-6 წარმ.), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — მხოლოდ შენ ერთს (დღისით), სიმღერა თბილისზე (საღამოს), **სანკულტურის** — ჩვენი ერთი საღამო, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — სომბრერო (აბონ. № 55. 11 ს.), გზა მშვიდობისა (აბონ. № 51, 3 ს. აბონ. № 47, 7 ს.).

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ: 11.30 — სახალწლო ნაძვისის ზეიმის ტრანსლაცია სახელმწიფო ცირკიდან. 18.00 — გადაცემა — „ყრილობის დელეგატი“ 18.15 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მოგზაურობა ამაზონზე“, 19.15 — გადაცემა—„ქართული კინოს საგანძურიდან“. 19.40 — კინონარკვევი, 20.20 — ახალი ამბები, 20.35 — მხატვრული ფილმი „მშვიდ საღამოს“.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: თბილისი, ლენინის 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 1-63-08, 1-08-67, პასუხისმგებელი მდივნის — 1-72-80, სამდივნოსი — 8-46-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 1-57-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგან